Recognition has been an important factor in validation of claims to statehood for over two centuries. It started to feature as an important principle when political liberalism challenged the dynastic rights. Recognition became a tool for establishing relations with the newly emerging states first in the Americas and then also in Europe. At first recognition was thought to have a constitutive character for the beneficiary state however, the declaratory theory challenged this notion by stating that recognition only confirmed the existence of a factual state. The great debate over these theories of recognition pointed that the "truth lies somewhere in between". Declaratory approach presupposed existence of certain criteria for statehood but until today international community failed to codify criteria for state creation, with Montevideo convention being the only limited source.

Similarly, there are no universal criteria for recognition either. Mostly, development of recognition criteria reflected the prevalent state practice of recognition of new states. When recognising new states the recognising states guide themselves with their own criteria for recognition. Despite attempts to codify criteria as well as the institution of recognition in international law[43], there is no single international law act which lists the universal criteria for recognition. These attempts have failed because there are no clear dividing lines between law and politics in the field of recognition. Recognition to the new entity is still extended at discretion of a recognising state and there is no provision in international law that could force the state to recognise the new one. The truth is that recognition is not governed by any rules whatsoever. All aforementioned criteria are deriving solely from international practice of recognition of new states.

Along with lack of codification of recognition criteria, there is a lack of any international authority tasked with determining whether an entity claiming to be a state in fact is a state. It is for each state to make such determination based on its own assessment and its own political will whether the new entity should be admitted to the community of nations. De-recognition, non-recognition and recognition thus becomes a political act, and perceptions of national self-interests play a determining role.

As a rule new states are rarely successful in achieving recognition by all members of the international community within a short period of time, unless they become the member of the UN right away. Recognition of a new entity largely depends on the consent of the parent state to let the entity into independence. Absence of recognition however does not mean that the new entity is devoid of legal personality in relation to non-recognising states. "General international rules such as those concerning to high seas, or respect for territorial and political sovereignty do apply to the relationships between the new state and all other members of community."[44]

---

[43] UN International Law Commission members advised to codify recognition of states at the first session in 1949.

[44] Cassese, Antonio, International Law, p76

Bibliography:

Ahmed Sheikh, The United States and Taiwan After Derecognition: Consequences and Legal Remedies, Wash. & Lee L. Rev. 323, 1980 http://scholarlycommons.law.wlu.edu/wlulr/vol37/iss2/2
Cassese, Antonio, International Law, Oxford, 2005
Chen, Ti-chiang, The international law of Recognition, Praeger, 1951
Crawford, James. "The Creation of States in International Law", Oxford, 2007
Dugard and Raic in Kohen, Marcelo G, ed. "Secession – in International Law Perspectives", Cambridge, 2006
Fabry, Miculas. Recognising States: International Society and the Establishment of New States Since 1776, Oxford, 2010
Grant, Thomas. The Recognition of States: Law and Practice in Debate and Evolution, Praeger, 1999
Haftendorn, Helga, Coming of Age, Rowman&Littlefield, 2006
Institut De Droit International, La reconnaissance des nouveaux Etats et des nouveaux gouvernements, 1936, http://www.idi-iil.org/idiF/resolutionsF/1936_brux_01_fr.pdf
Kohen, Marcelo G, ed. "Secession – International Law Perspectives", Cambridge, 2006
Lauterpacht, Hersch. "Recognition in international law", Cambridge, 1947
Locke, John, Second Treatise of Civil Government, Hackett Publishing, 1980
Lockwood, John, Recognition of Israel, In: The American Journal of International Law, Vol.42, No.4, 1948
Oppenheim, L. International Law, Vol. 1 para. 71, http://www.gutenberg.org/files/41046/41046-h/41046-h.htm#Page_16
Pattison, Keith, The Delayed British Recognition of Israel, The Middle East Journal, Vol 37, No.3, 1983
Restatement (2nd) of the Foreign Relations Law of the U.S §§ 4, 100,101 (1965)
Тункин, Григорий, Теория Международного Права, ИМО, 1970
Тункин Григорий, Основы современного международного права, Москва, 1956
Фельдман Д., "Современные теории международно-правового признания", Казань, 1965

Official Documents:

EC Declaration on Yugoslavia, 16.12.1991, http://www.dipublico.com.ar/english/declaration-on-yugoslavia-extraordinary-epc-ministerial-meeting-brussels-16-december-1991/
Montevideo Convention of the Rights and Duties of States, 1933
http://www.cfr.org/sovereignty/montevideo-convention-rights-duties-states/p15897
Opinions of the Badinter Arbitration Committee,
http://ejil.oxfordjournals.org/content/3/1/178.full.pdf+html

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №3, ივლისი, 2016

Journal of Young Researchers. No.3, July, 2016

თანამედროვე ქართველ მწერალ-მესვეტეთა შემოქმედებითი თავისებურებები

ნათია სვანიძე*

დოქტორანტი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ქართველი მწერლების პუბლიცისტური წერილები ოდითგანვე ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე იყო ორიენტირებული. ისინი წარმოაჩენდნენ და გაიაზრებდნენ ქვეყნაში არსებულ ვითარებას, მკითხველს იმ პრობლემებს აცნობდნენ, რომლებიც ხელს უშლიდა ერს განვითარებაში. ასე იყო მე-19 საუკუნეში. ეს ტრადიცია გაგრძელდა მე-20 საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაშიც. მწერალს პუბლიკასთან კონტაქტი დღესაც არ დაუკარგავს და მასობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობისთვის ახალ-ახალ ფორმებს ეძებს.

კვლევის მიზანია, შევაფასოთ რა თემატური თავისებურებებით გამოირჩევა საავტორო სვეტი, როგორია მისი მიზანდასახულობა და როგორ იყენებენ ამ ჟანრობრივ სახეს თანამედროვე ქართველი მწერლები საკუთარი თვალსაზრისის დემონსტრირებისათვის. ძირითადად, რა პრობლემებზეა მწერალი-მესვეტის ყურადღება გამახვილებული; თვითგამოხატვის როგორ ფორმებს იყენებენ მწერალი-მესვეტეები სუბიექტური „მეს“ წარმოსაჩენად; რამდენად ეფექტიანია მწერალ-მესვეტეთა ხელწერა აქტუალურ თემებზე მსჯელობისას და რა შემოქმედებით საშუალებებს მიმართავენ ისინი საკუთარი პოზიციის მართებულობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად.

საკვანძო სიტყვები: საავტორო სვეტი, მწერალი-მესვეტე, „კალამნისტიკის“ სპეციფიკა, ჟურნალისტური სვეტის რაობა, სვეტის გენეზისი, სვეტის ტიპოლოგია.

Abstract

The journalistic essays of the Georgian writers were always focused on the problematic topics of the country. They have por trayed the real situation in the country. They were introducing the problems that prevent the nation development. So was in the 19th century. This tradition continued in 20th century's literature as well. The writer today has not lost contact with the audience and is looking for the new forms of the relationship with mass audience.

The aim of the study is to evaluate what kind of thematic features characterize the personal column, what is its purpose and how the modern Georgian writers use this genre for the presentation of their own point of views. Basically, on what problems is the writer columnist's attention focused; How effective is the writer columnist's handwriting while discussing the actual topics; What

* *ელფოსტა: natiasvanide22@gmail.com*

kind of creative means are they using to convince the audience in the correctness of their own position.

Key words: personal column, writer columist, specifics of the "column", journalistic column, genesis of the column, typology of the column

შესავალი

ისტორიულად, დიდი მწერალი, ამავე დროს, დიდი პუბლიცისტიც იყო. მწერლის მახვილსა და ანალიტიკურ თვალთახედვას არასოდეს გამოჰპარვია ერის ცხოვრების არცერთი, მეტ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა. ქართველი მწერლების პუბლიცისტური წერილები ორიენტირებული იყო პრობლემურ თემებზე, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. ისინი წარმოაჩენდნენ და გაიაზრებდნენ ქვეყნაში არსებულ ვითარებას, მკითხველს აცნობდნენ იმ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლიდა ერს განვითარებაში. ასე იყო მე-19 საუკუნეში. ეს ტრადიცია მე-20 საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაშიც გაგრძელდა, განსაკუთრებით, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში, ვიდრე ბოლშევიზმმა ჩვენი სუვერენიტეტი არ შეიწირა. მწერალს დღესაც არ დაუკარგავს პუბლიკასთან კონტაქტი და ახალ-ახალ ფორმებს ეძებს მასობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობისთვის.

ჩვენს საძიებელ თემატიკას ქართული პრესისთვის შედარებით ახალ პუბლიცისტურ ფორმად მიჩნეული მწერლის სვეტი წარმოადგენს. შესაბამისად, წინამდებარე სტატიის მიზანია, გამოვარკვიოთ, რა თემატური თავისებურებებით გამოირჩევა საავტორო სვეტი, როგორია მისი მიზანდასახულობა და როგორ იყენებენ ამ ჟანრობრივ სახეს თანამედროვე ქართველი მწერლები საკუთარი თვალსაზრისის დემონსტრირებისათვის. კვლევისას მოვიშველიებთ ე.წ. კალამნისტიკის თეორიულ ასპექტებს, მიმოვიხილავთ ასევე პრესის თავისუფლების პოსტსაბჭოურ გამოცდილებასა და პოსტმოდერნისტული ფილოსოფიის გავლენას პოსტსაბჭოთა მედიის შემოქმედებითი სტრატეგიების ჩამოყალიბებაზე.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი. ცნობილია რომ კონტენტ-ანალიზი გამოიყენება როგორც ტექსტებზე (მაგ: სტატიები, მოხსენებები, ისტორიული მასალები, წერილები და სხვ.), ასევე სხვა ტიპის მასალაზე მუშაობისთვის (მაგ: ხელოვნებისა და არქიტექტურის ნიმუშები). ჩვენს შემთხვევაში, დაკვირვების საგანია ქართულ პრესაში გამოქვეყნებული თანამედროვე ქართველი მწერლების საავტორო სვეტების ტექსტები. ზოგადად, კონტენტ-ანალიზი ორ კომპონენტს მოიცავს: მექანიკურსა და ინტერპრეტაციულს. მექანიკური ასპექტი ტექსტის ორგანიზებას და მონაცემების კატეგორიებად დაყოფას ნიშნავს, ხოლო ინტერპრეტაციული იმის დასაბუთებას გულისხმობს, თუ რომელი კატეგორიაა მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ეს ორი კომპონენტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ჩვენს ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდი შედარებით სუბიექტურია და ნაკლებად ამჟღავნებს იმ მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება სამიზნე მასალის ინტერპრეტაცია. აქ უფრო მეტად მნიშვნელობას გაესმება ხაზი, ვიდრე რაოდენობას. შესაბამისად, უპირატესობა მივანიჭეთ მოძიებული ტექსტების შინაარსობრივ მხარეს, მათ თემატურ კლასიფიკაციას და არა ამ ტექსტების რაოდენობას.

ჩვენი ნაშრომი საბიბლიოთეკე გამოკვლევაა. გავეცანით თანამედროვე ქართველი მწერლების მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ სვეტებს შემდეგ პერიოდულ გამოცემებში: გაზეთები– „24 საათი", „სარბიელი", ჟურნალი – „ლიბერალი". საკვლევად დროითი არეალი არ შემოგვისაზღვრავს. ჩვენი მხედველობის არეში სვეტის ყველა ის ნიმუში მოექცა, რომელიც ქართველი მწერლების მიერ აღნიშნულ გამოცემებში მათი დაარსებიდან დღემდე გამოქვეყნდა. ვფიქრობთ, ამ გზით დემოკრატიზაციის პროცესში ჟანრის ტრანსფორმაციის ასპექტები უკეთ გამოიკვეთება. მასალის სისტემატიზება კლასიფიკაციის შედეგად ვიმსჯელეთ პუბლიკაციათა შინაარსობრივ თავისებურებებზე, წარმოვაჩინეთ მათი

შემოქმედებითი მახასიათებლები და ავტორთა ხელწერის თავისებურებები.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ვივარაუდეთ, რომ თანამედროვე ქართველი მწერლები „სვეტის“ ჟანრობრივ ფორმას ეფექტიანად იყენებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და საზოგადოების აქტუალურ პრობლემატიკაზე მსჯელობისთვის; ცალკეულ საკითხებთან მიმართებით საკუთარი კრიტიკული თვალსაზრისის დაფიქსირებისა და აუდიტორიის მიმხრობისთვის.

შესაბამისად, ჩამოვაყალიბეთ საკვლევი კითხვებიც:

1. ძირითადად, რა პრობლემებზეა მწერალი-მესვეტის ყურადღება გამახვილებული?
2. თვითგამოხატვის როგორ ფორმებს იყენებენ მწერალი-მესვეტეები სუბიექტური „მეს“ წარმოსაჩენად?
3. რამდენად ეფექტიანია მწერალ-მესვეტეთა ხელწერა აქტუალურ თემებზე მსჯელობისას და რა შემოქმედებით საშუალებებს მიმართავენ ისინი საკუთარი პოზიციის მართებულობაში აუდიტორიის დასარწმუნებლად?

სვეტი: ტრადიციული ჟანრი თუ ახალი ფორმა

სანამ უშუალოდ საკვლევ პრობლემატიკაზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ „კალამნისტიკის“ სპეციფიკა ჟურნალისტური სვეტის რაობის, მისი ევოლუციისა და ტიპოლოგიის საკითხები.

საავტორო სვეტის ევოლუციის სპეციფიკის გააზრებისთვის, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ საავტორო შენიშვნების, ინტერვიუს, რეპორტაჟისა და პორტრეტის პირველადი ფორმები ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში წარმოიშვა. მათი ფორმები, თავდაპირველი ყოველკვირეული და ყოველთვიური გაზეთების აღმოცენების დროიდან, თანდათანობით სრულყოფის პროცესს განიცდიდა, თუმცა, საბოლოო სახე ჟურნალისტურმა ჟანრებმა მე-19 საუკუნეში სარედაქციო საქმიანობის აღორძინების ეპოქაში მიიღო.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, საავტორო თავისუფლების ხარისხის ზრდამ პირდაპირ პროპორციულად იმოქმედა ისეთი ჟანრის აქტუალობის მატებაზე, როგორიცაა „საავტორო სვეტი“, აღნიშნული ვითარება მიუთითებდა იმდროინდელ საზოგადოებაში კონკრეტული ავტორის კომენტართა მნიშვნელობაზე, რის გამოც საავტორო სვეტი, საგაზეთო სტატიათა რიგითი ნაირსახეობიდან დამოუკიდებელ ჟანრად გარდაიქმნა, ეს კი კონკრეტული ჟურნალისტის პერსონალურ სვეტს გულისხმობდა.

ტერმინი „სვეტი“ წარმოადგენს ინგლისური „column“-ის თარგმანს, რის გამოც იმ ადამიანებს, რომელთა ტექსტებიც ამ სპეციალურ საგაზეთო სივრცეს ავსებს, „კალამნისტებს“ უწოდებდნენ. კოლუმბიის უნივერსიტეტის ელექტრონული ენციკლოპედია „კალამნისტს“ განსაზღვრავს, როგორც მრავალრიცხოვან ესეთა ავტორს, რომლებიც რეგულარულად ჩნდება პერიოდიკაში, ყველაზე ხშირად კი მუდმივ რუბრიკაში[1].

თემატური ორიენტაციის მხრივ, საავტორო სვეტი შესაძლოა იყოს ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური, მიმდინარე მოვლენათა ამსახველი; იგი შესაძლოა გადმოგვცემდეს ავტორის კერძო პოზიციას გარკვეულ მოვლენასთან მიმართებით. ამგვარად, სვეტი წარმოადგენს განსაკუთრებულად გაფორმებულ მონაკვეთს საგაზეთო სივრცეში, რომელიც კონკრეტულ ტექნიკურ ამოცანათა გადაწყვეტისას გამოყენებად მასალათა აქცენტირების მაგალითია: ინფორმაციული ტექსტების,

---

[1] *Е. М. Деяк Якобишина , Авторская колонка: Традиционный Жанр или Новая Форма, 2013, Веснік БДУ*

სტატისტიკური მონაცემების, ციტატების, გამოკითხვების და ა.შ. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ის ჟურნალისტური ხერხი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ გაფორმებისთვის გამოიყენებოდა, დროსთან ერთად განსაკუთრებულ ინფორმაციულ ზონად გარდაიქმნა, რომლის კარიც ღიაა ყველა იმ მკითხველოსთვის, ვინც მასში მოცემული ავტორით და იმ თემებით ინტერესდება, რომლებიც სვეტში რეგულარულად განიხილება.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სვეტი საავტორო სვეტად ვერ იწოდება. საავტორო სვეტი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიცავდეს პრობლემის სუბიექტურ ხედვას და არა მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას. კალამნისტების უმთავრესი მიზანი არის არა აუდიტორიის ინფორმირება, არამედ მკითხველის დაინტერესება და მისი ყურადღების მიპყრობა აქტუალურ პრობლემაზე. მკითხველი ავტორის არსებობას უფრო მეტად რომ გრძნობდეს, როგორც წესი, სვეტს ავტორისვე ფოტოსურათით აფორმებენ. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია ინგლისური გაზეთის „Daily Mirror"-ის ტრადიცია გავიხსენოთ, რომელშიც 30 წლის განმავლობაშიც ცნობილი კალამნისტის, უ. კონორის სვეტი მისი ფოტოსურათით იბეჭდებოდა. იგი საკუთარ ტექსტებს ფსევდონიმ „კასანდრას" სახელით აქვეყნებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საავტორო სვეტებისთვის კომპაქტური მოცულობა, მასალის გადმოცემის ემოციურად გაფორმებული სტილი და მოვლენათა მკვეთრად გამოხატული სუბიექტური შეფასებებია დამახასიათებელი. საავტორო სვეტში უმთავრესია ავტორის პოზიცია, სიტუაციისა თუ პრობლემის მისეული ხედვა. შედეგად, კალამნისტი ყოველთვის ცნობადი სახელის მქონე ადამიანს წარმოადგენს. ამის გამო, ის მკითხველი, რომელიც, როგორც წესი, ახალ ამბებში თანხას არ იხდის, შესაძლოა ხალისით ყიდულობდეს ამა თუ იმ კალამნისტის საავტორო მოსაზრებებს სწორედ მათი ავტორიტეტულობის გამო. ამიტომ, კალამნისტიკა, როგორც საავტორო პუბლიცისტიკა, აერთიანებს სხვადასხვა ჟანრის იმგვარ ტექსტებს, რომლებშიც საავტორო საწყისი დომინირებს. [3]

საყურადღებოა, რომ გარკვეულ ავტორთა საგაზეთო სვეტები წიგნებადაც არის გამოცემული. ამის მაგალითს ფრანკლინ პირს ადამსი და მაკლინ ტაიერი წარმოადგენენ. ამ უკანასკნელის წიგნი „The Big Town: New York Day By Day (1935)" რომელიც სწორედ ავტორის საგაზეთო სვეტების კრებულს წარმოადგენდა, ბესტსელერიც კი გახდა. ხოლო ფრანკლინ პირს ადამსის "The Melancholy Lute (1936)" მოიცავდა მის მიერ სამი ათწლეულის განმავლობაში გამოქვეყნებულ რჩეულ საგაზეთო სვეტებს.

საინტერესოა ისიც, რომ ჟურნალისტიკის ისტორიისთვის ცნობილია სულ მცირე ერთი ისეთი სიტუაცია მაინც, როდესაც საავტორო სვეტი სრულყოფილ, წარმატებულ ჟურნალად გარდაიქმნა. როდესაც სირუს კურტისმა, 1879 წელს, „The Tribune And Farmer" დააფუძნა, იგი ოთხგვერდიან ყოველკვირეულ გამოცემას წარმოადგენდა, რომლის წლიური გამოწერის საფასურიც მხოლოდ 50 ცენტი იყო. შემდგომში მან გაზეთში ქალთა სვეტი შემოიღო, რომლის ავტორიც მისი მეუღლე, ლუიზი კნეპ კურტისი იყო, და ეს სვეტი იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ 1883 წელს კურტისმა გადაწყვიტა იგი ცალკე დაებეჭდა, როგორც გაზეთის ყოველთვიური დამატება, „Ladies Journal And Practical Housekeeper", რომლის რედაქტორიც ლუიზ კურტისი გახდა. გამოცემის პირველი წლის ბოლოსთვის, მას 25 000 გამომწერზე მეტი ჰყავდა. ეს გამოცემა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ კურტისმა საკუთარი გაზეთი "The Tribune And Farmer" გაყიდა, რათა მთელი დრო და ენერგია ახალი გამოცემისთვის დაეთმო, რომელიც შემდგომში „Ladies' Home Journal" ის სახელით გახდა ცნობილი.

---

[2] *Глушко А .К .Основы журналистских знаний, 2001, Киев*
[3] *Дэннис Э. Мэррил Дж. Беседы о массмедиа, 1997*

საგაზეთო სვეტის ტიპოლოგია

დღესდღეობით ჟურნალისტურ პრაქტიკაში ტერმინი „სვეტი“ სამი მნიშვნელობით გამოიყენება. მის პირველ მნიშვნელობაში გაზეთის ფურცლებზე მასალის გაფორმების სპეციფიკური ხერხი მოიაზრება, რომელიც კონკრეტული ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტისას არსებულ მასალათა აქცენტირების მაგალითს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ შესაძლოა მოიცავდეს საინფორმაციო მასალების შერჩევას, სტატისტიკურ მონაცემებს, ციტატებს და ა.შ.[4]

„სვეტის“ მეორე მნიშვნელობას საავტორო რუბრიკა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სვეტი უკვე სტრატეგიულ ამოცანებს ასრულებს მას საგაზეთო სივრცეში შეჰყავს ავტორი, რაც თავის მხრივ აუდიტორიის ყურადღებას იზიდავს. ამგვარი სვეტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აუდიტორიის გარკვეული სეგმენტის ყურადღების ფიქსირება კონკრეტულ ავტორზე, როგორც გარკვეული ინფორმაციის მატარებელზე.

„სვეტის“ მესამე მნიშვნელობა განსაკუთრებული ჟანრის გაგებას უკავშირდება, რომელიც ავტორის პირადი განცდების აქტუალიზებას ახდენს კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რაც მკითხველს ავტორისვე შეხედულებების დემონსტრირების სახით გადაეცემა.

თავდაპირველად, სვეტებში ის ინფორმაცია იბეჭდებოდა, რომელზეც გაზეთის რედაქციას ყურადღების გამახვილება სურდა. ამგვარი მასალა შესაძლოა ყოფილიყო: განცხადებები, ექსტერნული სიახლეები, ოფიციალური შეტყობინებები და ა.შ. თუმცა, თანდათანობით სვეტის მნიშვნელობამ უფრო საყოფაცხოვრებო ყოველდღიური ხასიათი შეიძინა.

მე-19 საუკუნეში მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით ე. წ. „ჭორების“ სვეტი სარგებლობდა, რომელშიც ქვეყნდებოდა ცნობები მოქალაქეთა ცხოვრების შესახებ: დაბადების, ქორწინების, ნიშნობის, გარდაცვალების, მგზავრობის, შვებულების და სხვა ამგვარ მოვლენათა შესახებ. ამგვარად, სვეტი საგაზეთო სივრცის იმ ადგილად იქცა, სადაც რეგულარულად გამოქვეყნებული ფრაგმენტებისაგან ფორმირდებოდა ზოგადი სურათი რიგით ადამიანთა ცხოვრებიდან. ამ მხრივ, სვეტი გარკვეულ საყოფაცხოვრებო ფუნქციას ასრულებდა.

ამის შემდგომ, სვეტ-რუბრიკაში კონცენტრირება იწყო მკაფიოდ გამოკვეთილი საავტორო საწყისების მქონე ტექსტებმა: კომენტარებმა, ესეებმა, რეცენზიებმა და ა.შ. შემდეგ კი, ჟანრობრივი დიფუზიისა და ჰიბრიდიზაციის პროცესთა ზეგავლენით, და ასევე ავტორისა და მკითხველის თვითშემეცნების ცვლილებისა და პუბლიცისტიკაში არსებული ახალი ტენდენციების გამო (როდესაც ინტერესი ცალკეული პიროვნების მიმართ იმდენად გაძლიერდა, რომ პრესაში შესაძლებელი გახდა დღიურისებური ჟანრების აღმოცენება) მოხდა სვეტის ჟანრის ფორმირება. ეს გულისხმობდა ავტორის განცდების ფიქსირებას ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე, რაც მაქსიმალურად პირადი, ბიოგრაფიული ტექსტით გადმოიცემოდა.

მონიკა მაკქეიფ კარდოზა აღწერს საავტორო სვეტის სხვადასხვა ტიპს: რჩევების სვეტი, ბიზნესის სვეტი, საოჯახო სვეტი; ასევე სვეტები კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე, ჯანმრთელობასა და სილამაზეზე, ჰობის, სახლისა და ინტერიერის შესახებ; იუმორის, რელიგიის, სამოგზაურო სვეტები და ა.შ.[5]

კარდოზა აღნიშნავს, რომ საავტორო სვეტის ეფექტურობისათვის საჭიროა სადღეისოდ გავრცელებულ პუბლიკაციათა სტილისა და სახეობათა გააზრება. იგი აღნიშნავს, რომ საავტორო სვეტის

---

[4] *С.С. Ярцева, Жанровые Признаки Колонки, 2011 Воронежский государственный университет*

[5] *Monica McCape Cardoza, “You can write a column”.*

გამოქვეყნებისთვის ყველაზე ხელსაყრელ სივრცეს ყოველდღიური გაზეთები წარმოადგენს, რადგანაც მათი უმეტესობა, მკითხველთა რაოდენობის შემცირების მიუხედავად, ფინანსურად კვლავ საკმაოდ წარმატებულია. ამის მიზეზი კი, როგორც კარდოზა აღნიშნავს, ისაა, რომ მრავალ ყოველდღიურ გაზეთს აქვს საკუთარი ვებ გვერდი და ამდენად, ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია.

ყოველდღიური გაზეთების პოპულარობის მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ ისინი მკითხველს პოპულარულ თემათა ყოველდღიური გაშუქებით იზიდავენ. და ბოლოს, ყოველდღიური გაზეთები უფრო მეტ აქცენტს ადგილობრივ სიახლეებზე აკეთებენ, ვიდრე სხვა ტიპის გამოცემები. ალბათ სწორედ ამ მიზეზებით არის განპირობებული ის, რომ ამგვარ გამოცემებში საავტორო სვეტს, როგორც წესი, უფრო მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე ყოველკვირეულ ან ყოველთვიურ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ საავტორო სვეტებს, ვინაიდან ამ უკანასკნელში საავტორო სვეტების თემატიკა შესაძლოა ისეთ საკითხებს მოიცავდეს, რომლებიც ფართო მასებისთვის რთულად გასაგებ ან ნაკლებად საინტერესო საკითხებს ეხება. გარდა ყოველდღიური გამოცემებისა, საავტორო სვეტები გვხვდება სხვადასხვა ტიპის ბეჭდვით მედიაშიც, როგორიცაა: საზოგადოებრივი გაზეთები, ყოველკვირეული ალტერნატიული გამოცემები, ჟურნალები, ონლაინპუბლიკაციები და სხვა.

სვეტები გვხვდება როგორც გაზეთებში, ისე ჟურნალებსა და სხვა ნაბეჭდ პროდუქციაში, მათ შორის ბლოგებშიც. ისინი მოკლე ესეს სახით გადმოიცემა კონკრეტულ მწერალთა მიერ, რომლებიც მკითხველს საკუთარ შეხედულებებს სთავაზობენ.[6]

უნდა აღინიშნოს, რომ საგაზეთო კალამნისტები გასული საუკუნის 30-40 იანი წლებიდან რადიოსა და ტელევიზიის სივრცეშიც იკვალავდნენ გზას. 1930-იანი და 1940-იანი წლების ისეთმა საგაზეთო კალამნისტებმა, როგორებიც იყვნენ: ფრანკლინ პირს ადამსი, ნიკ კენი, ჯონ კროსპი, ჯიმი ფიდლერი, დრიუ პირსონი, ედ სალივანი და ვოლტერ უინჩელი, უაღრესად ცნობილ ჟურნალისტთა სტატუსს მიაღწიეს და საკუთარ სინდიკატირებულ სვეტებს იყენებდნენ, როგორც რადიოსა და ტელევიზიაში გადასასვლელ ტრამპლინს. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად უინჩელისა და პერსონსის შემთხვევაში, მათი რადიოპროგრამები ფორმატით საკმაოდ წააგავდა მათივე საგაზეთო სვეტებს.

როგორც უკვე შევნიშნეთ, საავტორო სვეტები, გარდა ჟურნალ-გაზეთებისა, მედიის ისეთ სახეობებშიც გვხვდება, როგორიცაა ინტერნეტი და სამაუწყებლო მედია. საავტორო სვეტის ერთ-ერთ სახეობას რჩევების სვეტი წარმოადგენს, რომელიც კითხვა-პასუხის ფორმატითაა წარმოდგენილი: მკითხველი ამა თუ იმ მედიასაშუალებას უგზავნის წერილს გარკვეულ პრობლემაზე შეკითხვის სახით, ხოლო მედიასაშუალება აწვდის პასუხს ან გამოხატავს რეაგირებას მის შეკითხვაზე. ეს პასუხები მრჩეველ კალამნისტთა მიერ იწერება.

კრიტიკოსი მესვეტე

კრიტიკოსი წარმოადგენს პროფესიონალს, რომელიც მკითხველთან კომუნიკაციას ამყარებს ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ საკუთარი მოსაზრებებისა და შეფასებების გადმოცემის მეშვეობით. მისი მსჯელობის საგანს შესაძლოა ხელოვნების ნებისმიერი ფორმა წარმოადგენდეს: მხატვრობა, ლიტერატურა, კინო, თეატრი, მოდა, არქიტექტურა და სხვა. გარდა ხელოვნებისა, კრიტიკოსის ინტერესის სფერო შესაძლოა იყოს სოციალური ან სამთავრობო პოლიტიკაც. კრიტიკული შეფასებები, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ თუ არა ისინი კრიტიკული აზროვნების შედეგს, მოიცავენ ფაქტორთა ფართო სპექტრს, მათ შორის განხილული ობიექტის შესაბამისობას მის მიზანთან, მისი შემქმნელის განზრახვასა და კონტექსტის ცოდნასთან. კრიტიკა შესაძლოა მოიცავდეს კრიტიკოსის მხრიდან როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ პირად მოსაზრებებს.[7]

---

[6] *https://en.wikipedia.org/wiki/Columnist*

[7] Dolan Jill, The Feminist Spectator as Critic, (2012 10 24),University of Michigan Press

რედაქტორისა და მოსაზრების სვეტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საავტორო რუბრიკის ერთ-ერთი ფორმაა რედაქტორის სვეტი, რომელიც გაზეთის ან ჟურნალის სარედაქციო პოზიციას ასახავს ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან მიმართებით. რედაქტორის სვეტი "გაზეთის ხმას" წარმოადგენს, და მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებისამებრ, ერთი ადამიანის მიერ იწერება, როგორც წესი ხელმოუწერელია.[8]

რედაქტორის სვეტის ავტორები იყენებენ პირველი პირის ნაცვალსახელს „ჩვენ". ხოლო მოსაზრების სვეტი იმგვარადაა შექმნილი, რომ ერთი პიროვნების მოსაზრებებს გამოხატავს. საავტორო კალამნისტები იყენებენ პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელს „მე". ჟურნალისტური „ლიცენზია", რომელიც ავტორებს უფლებას აძლევს გამოიყენონ „მე" და „ჩვენ" ნაცვალსახელები, მხოლოდ რედაქტორის სვეტებსა და საავტორო სვეტის სხვადასხვა ფორმაზე ვრცელდება, რაც ამ კონკრეტულ ჟურნალისტთა ავტორიტეტს ამაღლებს. მკითხველისათვის ეს ორი ნაცვალსახელი ფაქტებზე დაფუძნებული აღწერიდან საავტორო ჟურნალისტიკაზე გადასვლის მანიშნებელს წარმოადგენს. ამ ნაცვალსახელთა გამოყენებით, საავტორო სვეტის სხვადასხვა სახეობის მწერლები, უპირველეს ყოვლისა, აქცენტს საკუთარ პირად რეპუტაციასა და გაზეთის სანდოობაზე აკეთებენ.

ქართულ პრესაში, კერძოდ კი გაზეთ „კომუნისტში" ტერმინი „რედაქტორის სვეტი" ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა, რაც იმ დროისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა საბჭოურ მედიაში. თუმცა, როგორც დ. ტყებუჩავა აღნიშნავს, იმდროინდელი რედაქტორები წმინდად შემოქმედებითი ჟურნალისტური უნარების ნაკლებობას განიცდიდნენ, რაც თავის მხრივ საბჭოთა სისტემის სპეციფიკით იყო განპირობებული, რომელიც არათუ ჟურნალისტს, არამედ ყოველ ინდივიდს თავისუფალი აზროვნების ტენდენციათა გამოვლენას უკრძალავდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს არსებული „რედაქტორის სვეტი" მაინც აძლევდა ავტორს საკუთარი სახის, მისი პიროვნებისა და კონცეფციის გამოკვეთის შესაძლებლობას, საბჭოთა ჟურნალისტიკის იმდროინდელი ფორმებისგან განსხვავებით.

საკითხის კვლევის ქართული გამოცდილებიდან

მიუხედავად პოსტსაბჭოთა ქართულ სინამდვილეში საავტორო ჟურნალისტიკის ფორმების აღმოცენება განვითარების შეფერხებისა, საავტორო სვეტისა და „კალამნისტების" არაფორმალური ისტორია სათავეს შესაძლოა მნიშვნელოვნად ადრე იღებდეს. დ. ტყებუჩავა, ქართული კალამნისტიკის წანამძღვრებად ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძისა და სხვათა პუბლიცისტიკას მიიჩნევს. ამავე აზრს ავითარებს მ. შამილიშვილიც ნაშრომში: „ვაჟა ფშაველა მესვეტე", რომელშიც მწერლის მიერ 1877 1878 წლებში, გაზეთ „დროებაში" სვეტის ყაიდაზე დაბეჭდილ კორესპონდენციებზე ამახვილებს ყურადღებას. [9]

საავტორო სვეტის სპეციფიკაზე საუბრობს მ. გერსამია წიგნში „ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში". იგი გამოყოფს ჟურნალისტური სვეტების ყველაზე გავრცელებულ სახეებს: რედაქტორის, მოსაზრების, რჩევის, თემატური სვეტებს. საავტორო სვეტებზე საუბრისას იგი შენიშნავს: „თუ წარმატებული რეპორტირებისას ჟურნალისტის ინდივიდუალობა ფერმკრთალდება, საავტორო

---

[8] *Monica McCape Cardoza, "You can write a column",*
[9] *შამილიშვილი მ. ვაჟა ფშაველა მესვეტე, 2011, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა*

სვეტებში წარმატებას სწორედ წერის პერსონალური მანერა განაპირობებს.“[10]

აღსანიშნავია ისიც, რომ საავტორო სვეტის ერთ-ერთ სპეციფიკურ მახასიათებელს ავტორის მიერ სათქმელის ლაკონიურად და მკაფიოდ გადმოცემა წარმოადგენს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „ნართაულებით, მინიშნებებით, რიტორიკული კითხვების გამიზნულობით მკითხველი იოლად პოულობს პასუხს ზოგჯერ ძალზე აბურდულ სოციო პოლიტიკურ ვითარებაში გასარკვევად.“[11] ამდენად, საავტორო სვეტის კიდევ ერთი უმთავრესი დანიშნულება მკითხველისათვის არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ვითარებაში გარკვევის ხელშეწყობაა.

მწერალი-მესვეტეები ქართულ ბეჭდვით მედიაში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ინტერესის საგანს თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული სვეტები წარმოადგენს, რომელთა ავტორები ცნობილი მწერლები არიან. მოძიებულ ნიმუშთა თემატური კლასიფიკაციის შედეგად, გამოვკვეთეთ პრობლემატურ საკითხებზე მეტადრე აქცენტირებული პუბლიკაციები და გამოვარკვიეთ ავტორების მიზანდასახულობა, წარმოვაჩინეთ მათი სტილური თავისებურება და შემოქმედებითი ატრიბუტიკა.

აკა მორჩილაძე, ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი ეს არასრული ჩამონათვალია თანამედროვე ქართველი მწერლებისა, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებში საავტორო სვეტებს წერენ. ჩვენ მიერ განხილულ გამოცემათა შორის, ამ მხრივ პროდუქტიულობით გაზეთი „24 საათი“ გამოირჩევა, რომელიც 2002 წლის 1 იანვარიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე ყოველდღიურად გამოდიოდა. იგი წლების განმავლობაში, ვიდრე ბეჭდური სახით არსებობას შეწყვეტდა, სისტემატურად უთმობდა ადგილს მწერლების პუბლიცისტურ ნაღვაწს. გაზეთ „24 საათის“ Columnist-ებს ტიპური ამერიკული („ნიუ იორკ ტაიმსის“) სისტემით, კვირის დღეები ჰქონდათ განაწილებული: „დათო ტურაშვილის ხუთშაბათი“ და „ბასა ჯანიკაშვილის შაბათობები“ პირდაპირ მიანიშნებს სვეტების გამოსვლის დღეზე, ხოლო „ლაშა ბუღაძის კომენტარები მთავარზე“ ჟანრის სხვა მახასიათებლებს წამოსწევს წინა პლანზე. თუ ამერიკელ თეორეტიკოსთა კლასიფიკაციას გამოვიყენებთ, დათო ტურაშვილის, ლაშა ბუღაძისა და ბასა ჯანიკაშვილის სვეტები თვალსაზრისის სვეტებია (Opinion Column).[12]

ვერ ვიტყვით, რომ მწერლების სვეტები თემატური თვალსაზრისით ძალიან მრავალფეროვანია. მათი ძირითადი საფიქრალი და განსასჯელი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობაა. ქვეყანაში წლების განმავლობაში არსებული დაძაბული პოლიტიკური გარემო, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, მოუგვარებელი სოციალური პრობლემები, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, სასამართლო სისტემის რეფორმა, ქვეყნის ევროპული არჩევანი, სამოქალაქო საზოგადოების შექმნა ეს ის პრობლემური საკითხებია, რომელთა აქტუალიზებასაც სვეტების ავტორები ცდილობენ.

დათო ტურაშვილი არა მარტო თანამედროვეობის ცნობილი მწერალია, არამედ გასული საუკუნის 80-იანი წლების სტუდენტური მოძრაობის აქტიური მონაწილეცაა. იგი ყოველთვის ჩართული იყო ჩვენს საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა არასდროს ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი და დღემდე ღიად გამოხატავს თავის შეხედულებებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა თუ საზოგადოებისთვის პრობლემურ თემებზე.

გაზეთის 2004 წლის ნომრებში, ყოველ სამშაბათს იბეჭდებოდა დათო ტურაშვილის

---

[10] *გერსამია მ. ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, 2011, „უნივერსალი“*

[11] *ტყებუჩავა დ. ჟურნალისტიკამცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში, თბილისი 2009, გამომცემლობა „უნივერსალი“*

[12] *ტყებუჩავა დ., ჟურნალისტიკამცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში, თბილისი 2009, გამომცემლობა „უნივერსალი“*

ორიგინალური ფორმის საავტორო სვეტი „SMS“, რუბრიკით „ყოველ სამშაბათს“. 2009 წელს მისი სვეტები უკვე ხუთშაბათობით იბეჭდება, სახელწოდებით „დათო ტურაშვილის ხუთშაბათი“, რუბრიკაში „რევიუ“. წარმოდგენილ საავტორო სვეტებს წამძღვარებული აქვს ერთი წინადადება „რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება (მათთვის, ვინც ტელეფონის ზარებს აღარ პასუხობს).“ რასაც შემდეგ მოსდევს ძირითადი ნაწილი რამდენიმე მობილური ტელეფონის ნომერი და ნომრის ქვემოთ მოკლე ტექსტური შეტყობინება. მაგალითად: „877919909“

რამდენიმე დღის წინ გასაოცარი ამბავი მოხდა მოსკოვში, რუსეთის დედაქალაქში რწმუნებათა სიგელის გადასაცემად პრეზიდენტ პუტინთან, საქართველოს ახალი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვალერი ჩეჩელაშვილი, თეთრი ჩოხით მივიდა. გასაოცარი ეს არ იყო, გასაოცარი ის იყო, რაც მერე მოხდა მართალია, ვალერი ჩეჩელაშვილს, საჩოხე ტანი არ ღმოაჩნდა (როგორც ტელეეკრანზე ჩანდა), მაგრამ აღმოაჩნდა თვისება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საერთო წარმატებისთვის. რუსეთის პრეზიდენტის დაცვამ მოითხოვა, რომ საქართველოს ახალ ელჩს ხანჯალი მოეხსნა და ისე შესულიყო აუდიენციაზე. ჩოხა კი, ხანჯლის გარეშე, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს და ყველასგან მოულოდნელად ვალერი ჩეჩელაშვილმა ისეთი პრინციპული სიჯიუტე გამოიჩინა, რომ რუსებსაც კი გაუკვირდათ. გაკვირვებულ რუსებს კი ისღა დარჩენოდათ, რომ დაეთმოთ და სწორედ ამ პრინციპულობას ველოდი და ამ პრინციპულობას ვქადაგებ აგერ უკვე ორასი წელია. დარწმუნებულიც ვარ, რომ თუ არ შეგვეშინდება და ვიქნებით პრინციპულები, რუსებიც ვერაფერს დაგვაკლებენ როგორც ხანჯალი ვერ მოჭამეს ვალერი ჩეჩელაშვილს, აგერ სულ რამდენიმე დღის წინ...“ („24 საათი“, 2004 წ. 7 დეკემბერი).

აღნიშნული ტექსტის შემდეგ, ამავე სვეტში კიდევ მობილური ტელეფონის ოთხი სხვადასხვა ნომრისადმი მიწერილი სხვადასხვა შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინებებია, რომლებშიც ავტორი იმ კვირისთვის აქტუალურ პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებს ძალიან მოკლედ მიმოიხილავს და ამ მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას გვთავაზობს.

საავტორო სვეტებში ნათლად ჩანს ინდივიდუალისტური ხელწერა, სუბიექტური „მე“, მნიშვნელოვანია ისიც, თუ ვინ არის კონკრეტული კალამნისტი, როგორია მისი ბიოგრაფიული ბექგრაუნდიც, რა ქმნიდა მისი გამოცდილების კაპიტალს. თავის სვეტებში დათო ტურაშვილიც ინდივიდუალურ დაკვირვებას აწარმოებს გარე სამყაროზე და საჭირბოროტო თემატიკაზე მსჯელობისას საკუთარ თვალთახედვას გვთავაზობს. მისი ინტერესის მთავარი სფერო პოლიტიკაა. როგორც ვახსენეთ, მწერალი სტუდენტობიდან იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, რომელიც საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ იყო მიმართული.

თითოეულ სვეტში ფარულად თუ აშკარადაა გაცხადებული მწერლის პროტესტი და ანტიპათია რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისა და ყველაფერი იმის მიმართ, რაც საბჭოთა კავშირთან ასოცირდება. ხშირად ავტორი ერთსა და იმავე თემატიკას ეხება, ზოგჯერ თემას განავრცობს და გაგრძელებებით გვთავაზობს მომდევნო კვირის სვეტში. მიუხედავად გამეორებებისა, დათო ტურაშვილის არცერთი სვეტი არაა ზედაპირული და გულწრფელობას მოკლებული. მისი წერის მანერა პუბლიცისტიკაშიც სრულად გადმოდის და ისეთივე სადა, ყველასთვის გასაგები და ლაკონური ენით გადმოგვცემს სათქმელს, როგორც ეს მის მხატვრულ ტექსტებშია გაცხადებული.

დათო ტურაშვილის სვეტებში სათქმელი ნათლადაა გამოხატული და მწერლის ღირებულებით პრიორიტეტებს წარმოაჩენს. მისი მთავარი საფიქრალი საქართველოს ევროპული არჩევანი და ამ გზაზე წარმოქმნილი სირთულეების დაძლევაა. ქვეყნის განვითარების ერთადერთ სწორ გზად ავტორს წარსულის გონივრული გააზრება და ამ გამოცდილებაზე დაფუძნებული მომავლის შენება მიაჩნია. აი, როგორ გამოხატავს იგი თავის აზრს ჩვენი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის თაობაზე:

„პირადად ჩემთვის მთავარია არა პიროვნული ფაქტორი, არამედ ევროპული ფასეულობები, რისი

დამკვიდრებაც ძალიან გვიჭირს დამოუკიდებელ საქართველოში, რადგან სინამდვილეში თავისუფლება დემოკრატიულ ფასეულობებს ეფუძნება. ის პოლიტიკოსები კი, ვისაც დემოკრატია სისუსტე ჰგონია არა უზარმაზარი ძალა, ვერასოდეს შექმნიან ისეთ საქართველოს, რომელიც რუსეთის იმპერიას თავს დააღწევს და ევროპულ სახლში დაბრუნდება. მე კი მართლა ისეთ ევროპულ საქართველოში მინდა ცხოვრება, სადაც ყველა იმ ტრადიციას, თვისებასა და ღირებულებებს შევინარჩუნებთ, რომელსაც წარსულში ვქმნიდით, მაგრამ მომავალშიც გამოგვადგება...“ (16.04.2009, „24 საათი“, „მიშა თუ გრიშა“).

დათო ტურაშვილის, როგორც მესვეტის, ხელწერის კიდევ ერთი თავისებურება მისი წერის მსუბუქი მანერაა. ის მძიმე პრობლემებზეც მსუბუქად და შთამბეჭდავად საუბრობს, ხშირად იუმორსაც მიმართავს, მაგრამ არასდროსაა ცინიკური. მისი მედიატექსტები ქართველი ხალხის წლობით მოუგვარებელი პრობლემების გამო დიდი გულისტკივილითა და წუხილითაა აღბეჭდილი.

ბასა ჯანიკაშვილი თავის სვეტებში ორიგინალურ ხელწერას გვთავაზობს. იგი თხრობისთვის ინტერვიუს ფორმას ირჩევს და ამ მობილური, დინამიური ჟანრის შესაძლებლობებს ეფექტურად იყენებს. „ბასა ჯანიკაშვილის შაბათობების“ სახელწოდებით წარმოდგენილ სვეტებში ყოველთვის საინტერესო თემებზეა საუბარი. თანაც, ავტორი სათქმელს არაორდინალური გზით, გამოგონილ რესპონდენტებთან საუბრის სახით გვეუბნება. მათ უცნაური სახელ-გვარები და სტატუსები აქვთ, თუმცა, მკითხველს არ გაუჭირდება ამ გამოგონილ პერსონაჟთა შარჟულ სახეებში თავისი თანამედროვეების ამოცნობა. ასე მაგალითად: ექიმი, ფსიქოლოგი, ატლანტიდის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი არმაზ მოდრეკილი; ყოფილი ჟურნალისტი, ამჟამად შანტაჟისტი და პროვოკატორი თენგო; არასამთავრობო ორგანიზაცია „დიალოგი უპირველეს ყოვლისას“ პრეზიდენტი, პოლიტ-ექსპერტი, ალექსანდრე მიტისკული; ვენის დასუფთავების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, ალფრედ ლევან შოინბერგი; საქართველოს პი არ ტექნოლოგიების წამყვანი სპეციალისტი სილიბისტრო დაბრეცილი...

ბასა ჯანიკაშვილის ერთ-ერთი სვეტში „ინტერვიუ ოცდამეორე აგენტები თუ არაგენდობი“ რესპონდენტად შერჩეულია მოქალაქე, საპროტესტო ელექტორატის აქტიური შიგთავსი (ახალი ტერმინია) ნუნუ სიმფონია. სვეტის ავტორი ასე წარმოგვიდგენს სტუმარს: „ქალბატონი ნუნუ სიმფონია 1988 წლიდან მიტინგებით ცხოვრობს. მისთვის სულერთი არ არის ქვეყნის ბედი თუ უბედობა. ჩემთან საუბარში არაჩვეულებრივი პრინციპულობა და სითამამე გამოიჩინა. რაც, რა თქმა უნდა, პატივსაცემია, მხოლოდ, დაეთანხმებით თუ არა ეს თქვენთვის მომინდვია..“ და შემდეგ საუბარი კითხვა-პასუხის ფორმით გრძელდება. რესპონდენტი ქვეყნის ბედზეა დადარდიანებული და უპრინციპო პოლიტიკოსთა ბრალს ხედავს ყველა იმ პრობლემაში, რაც ხალხს თავს დაატყდა. სამწუხაროდ, უკეთესის მცირედ შანსსაც არ ტოვებს მისი ბოლო რეპლიკა: „მინდა გადავცე ყველას, ნუ გეშინიათ, ყველაფერი ისედაც ცუდად იქნება“ (19 მაისი, 2009).

ბასა ჯანიკაშვილი ისევე, როგორც ჩვენ მიერ დამოწმებული სხვა მესვეტეები, მიუხედავად სუბიექტური ხედვისა, შეულამაზებლად წარმოაჩენს რეალობას. ცხადია, ფაქტების უბრალო შერჩევა გამოყოფაც კი სუბიექტური მომენტია, რასაც ავტორის განწყობა მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, გემოვნება, განათლება, ერუდიცია და ა.შ. განაპირობებს. გამოგონილი რესპონდენტების პასუხები მესვეტის პასუხებია მისსავე შეკითხვებზე, ყველაფერი მისი სუბიექტური თვალთახედვის გამოხატულებაა. ავტორის შეფასებები მისივე უშუალო განცდებია, სიმპათია-ანტიპათიაა და ავტორის პოზიციის, კონცეფციის, იდეების დასაბუთებას ემსახურება.

ბასა ჯანიკაშვილის სვეტები ორიგინალური ხელწერით გადმოცემული აღქმაა რეალობისა. მისი პოზიცია ნათელი, მომჭირნე თხრობით გულწრფელად გამოხატული ხედვაა არსებული პრობლემებისა.

საჭირბოროტო პრობლემებს შეეხეო ზაალ სამადაშვილი თავის ერთ-ერთ საავტორო სვეტში „დელ პიეროს მაისური“ („24 საათი“, 11 იანვარი, 2003 წ.) იგი 14 წლის ბიჭზე მოგვითხრობს, რომელიც ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობს და თვეში ას დოლარზე ცოტა მეტს გამოიმუშავებს. ას დოლარს დედას აძლევს, ცოტა მეტს კი ინახავს საყვარელი საფეხბურთო გუნდის „იუვენტუსის“ მაისურის საყიდლად, რადგან სკოლის ჩემპიონატში აპირებს მონაწილეობას. ბიჭი დარწმუნებულია, რომ ამ მაისურის

წყალობით გოლებსაც გაიტანს და ახტომისას შემართულ ხელსაც ისე „გააშხუილებს ჰაერში, როგორც დელ პიერო“... 8 წლის იყო, მამა აფხაზეთის ომიდან რომ დაბრუნდა. პირველი დესანტი რომ გადასხეს ლესელიძეში, იქიდან მოყოლებული, სოხუმის დაცემამდე ომობდა. თერთმეტისა ხდებოდა, ისევ რომ წავიდა სახლიდან. ყოფილ მეომრებს დევნა და დატუსაღება დაუწყეს და მანაც გაქცევა არჩია ციხეში ჯდომას. ერთი წლის შემდეგ გაიგეს ბიჭმა და დედამისმა, რომ რუსეთში იმყოფებოდა, საიდანაც ყოველ სამ თვეში ერთხელ წერილს და ფულს აგზავნიდა. მაგრამ, ირკვევა, რომ „ასე გრძელდებოდა შარშანწინდლამდე. ბოლოს შარშანწინ, დეკემბრის პირველ რიცხვებში მოვიდა მისი გამოგზავნილი კაცი. მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.“

ძალზე ემოციურია სვეტის დასასრული. მწერალი მოულოდნელ და შთამბეჭდავ ენდინგს გვთავაზობს: შობის წინა დღეს, ბენზინის გასამართი სადგურის შემინული ჯიხურიდან თოთხმეტი წლის ბიჭი გამოდის. ტყავის ქურთუკი აცვია, ვიღაცის ნაქონი, ოდნავ განიერი და ოდნავ გრძელი... ისე დინჯად მიაბიჯებს, თითქოს ბათინკებში აჭყაპუნებული წყლის გამო სიცივეს ერთიანად არ ჰყავდეს ატანილი... ბიჭი ახალგაზრდა, ოპელიან კაცს შეხვდება და კონვერტს და ფულს გადასცემს. ეს კაცი ზუსტად სამ საათზე მივა ბიჭთან და დედამისთან, კონვერტს მაგიდაზე დადებს, დედას ტირილი აუვარდება, აქამდე დაძაბული ბიჭი კიდევ უფრო დაიძაბება და როცა დედის თვალებში სიხარულს ამოიკითხავს, ისეთივე გრძნობა დაეუფლება, როგორიც Delle Alpi-ზე პირველად გასულ ალესანდრო დელ პიეროს...

ზაალ სამადაშვილის სვეტი მხატვრული ნაწარმოები უფროა, ვიდრე პუბლიცისტური წერილი, თუმცა ავტორი ამ ფორმით გადმოგვცემს მწარე რეალობას, რაც იმ წლების საქართველოში სუფევდა: აფხაზეთისა და სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდი, სოციალური და ეკონომიკური კრიზისი, უყველაფრობა, უკიდურესი გაჭირვება, რომელთან გამკლავებაც უწევდა ოჯახების აბსოლუტურ უმრავლესობას და მომავალი თაობის ოცნებების მსხვრევა. ავტორმა, ნაცნობისა და მარტივის ემოციური განზოგადებით, ქვეყნის და ხალხის წინაშე არსებული რთული და მნიშვნელოვანი პრობლემები კიდევ ერთხელ დაგვანახა...

ყველასათვის კარგად ცნობილი თანამედროვე ქართველი მწერალი აკა მორჩილაძე, იგივე გიო ახვლედიანი, 1995 წლიდან 2009 წლამდე სპორტულ გაზეთ „სარბიელში“ მოღვაწეობდა. მწერალი სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა სვეტებს სპორტის თითქმის ყველა სახეობის, უმეტესად კი ფეხბურთის შესახებ. 14 წლის განმავლობაში ათასობით სვეტი დაწერა. 2010, 2011, 2014 წლებში აკა მორჩილაძის სვეტები ჟურნალ „ლიბერალშიც“ იბეჭდებოდა. აკა მორჩილაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი მესვეტეა, რომლის სვეტებიც წიგნად გამოიცა.

„ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ოდესმე ვინმე შეკრებდა და გამოსცემდა ამ ლიბერალურ საფეხბურთო მზესუმზირას. რახან მოხდა და ასე გამოდის, ალბათ ეს წიგნაკი არაფერს დააშავებს და მზესუმზირადაც ივარგებს, სახალისოდაც და ახლო წარსულის სურათებსაც გაახსენებს მის გადამფურცლავ ფეხბურთის მოყვარულ ხალხს... “ ასე შეაფასა თავად ავტორმა მისი სპორტული სვეტების წიგნებად დასტამბვის ფაქტი. უნდა ითქვას, რომ მათთაც კი, ვისთვისაც სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი, არცთუ მიმზიდველი თემაა, აკა მორჩილაძის სპორტული სვეტები სახალისო, მსუბუქი, სიამოვნებით წასაკითხია. ყველა სვეტს ეტყობა, რომ მას სპორტული კომენტატორი კი არა, მწერალი წერს.

აკა მორჩილაძის სპორტულ სვეტებში მსოფლიოს სპორტული ცხოვრების ამსახველი ფაქტობრივი მასალა მხატვრული ელემენტებითაა გაჯერებული და თხრობის გადამდები სისადავით გამოირჩევა. დავიმოწმებთ ნიმუშს:

„აჰმეთს ინგლისის არ სჯერა“

„... მსოფლიოში ბევრ გუნდს არ ეყოლება ისეთი მწვრთნელი, როგორც ინგლისს უშოვნია. ფაბიო კაპელო. გაგრძელება კი საჭირო არ არის. კაპელო და მორჩა... კაპელომ თქვა, ოჯახობა, გელფრენდები და ასეთი რამეები აფრიკაში არ დავინახოო... მოკლედ ინგლისი ემზადება. კაპელოს ხელში, სადილზე

სპორტულებით ვერ ჩახვალ, და საერთოდ, შორტებით ტანტალი და ინგლისელთათვის ტრადიციული ბანქოს თამაში თავისუფალ დროს დამთავრებული. სამაგიეროდ მსოფლიო ჩემპიონატი იწყება“ (31 მაისი 6 ივნისი, 2010 წ. ჟურნალი „ლიბერალი“).

თემატური მრავალფეროვანებით გამოირჩევა გაზეთ „24 საათში“ დაბეჭდილი ლაშა ბუღაძის სვეტები. ავტორი წერს ყველაფერზე, რაც მას აინტერესებს, აწუხებს და რაც საზოგადოებისთვისაც აქტუალურია. თუმცა, მწერლის მთავარი მიზანი სხვა მესვეტეთა და გაზეთის პუბლიკაციათა კრიტიკაა. მისი ხელწერა სარკასტულია და პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშან თვისებას აერთიანებს. თავის ერთ-ერთ სვეტში „ღია წერილი ნოდარ ლადარიას“ (2005 წლის 28 მარტი, გაზეთი „24 საათი“) მწერალი საკუთარ მცდელობას ასე აფასებს:

„ბატონო ნოდარ, როგორც მოგეხსენებათ, ბოლო ორი თვეა „24 საათის“ ავტორების სვეტებისა და სტატიების პაროდიებს ვწერ. ვის აღარ შეეხო ჩემი მახვილი კალამი, ვის აღარ ჩამოვხსენი სახიდან ნიღაბი!... ბუნებრივია, თქვენი სტატიების პაროდიების ჯერიც დადგა, მაგრამ მე იმდენად დიდ პატივს ვცემ თქვენს ერუდიციას, და ისე მეშინია თქვენი სავარაუდო პასუხის ორშაბათის ნომერში, რომ უმალ სიკვდილი მირჩევნია, ვინემ თქვენი სპეტაკი, სუფთა და ლაკონური სტილის ქილიკი...“

მთელი 2009 წლის განმავლობაში ლ. ბუღაძის სვეტები გაზეთში იბეჭდება რუბრიკით „კომენტარები მთავარზე“. მის დაუნდობელ კრიტიკას არაერთი პოლიტიკოსი გამოუყვანია მკითხველი აუდიტორიის სამსჯავროზე. მესვეტის მიერ გამათრახებულთა შორის თვით პრეზიდენტიც გვევლინება, თავის გარემოცვიანად. 2009 წლის 1 მაისის მრავლისმთქმელ სვეტში, სათაურით „პრეზიდენტის სიზმარი“ ლაშა ბუღაძე მიხ. სააკაშვილის მმართველობის სტილსა და დაშვებულ შეცდომებზე, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ილია ჭავჭავაძეს ალაპარაკებს:

„რამდენიმე დღის წინ ილია ჭავჭავაძე დასიზმრებია პრეზიდენტ სააკაშვილს. ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა საქართველოს პრეზიდენტს ილია ჭავჭავაძე ესიზმრება... ილია კარგად ყოფილა ინფორმირებული დღევანდელ პოლიტიკური კრიზისის შესახებ. სწორედ ამ კრიზისზე წაუკითხავს ლექცია პრეზიდენტისთვის: „მიხეილ, გენაცვალე“, უთქვამს ილიას, „იცოდე, ბევრად უფრო მეტი ხალხია შენდამი კრიტიკული, ვინემ ეს მიტინგებზე ჩანს. ხალხს ცვლილებები და სამართალი უნდა... მიეც ამ ხალხს ახალი საარჩევნო კოდექსი, დაჰკა პანღური ამჟამინდელ საარჩევნო კომისიას, რომლის მიმართაც ეგზომი უნდობლობაა, შეამცირებინე თავი, ვითარცა პრეზიდენტმა, რომ მომავალში მაინც არ გადაგაგდონ, დასთანხმდი ხელისუფლების დაბალანსებას და დემოკრატი ვარო, რომ გაიძახი, სრულყოფილი დემოკრატი იყავ მაშინ!... მეტი რა ვქნა, შენ დაგესიზმრე და არა იმ მესაკნეს, ამ დროს, ყოველღამ მითხოვს, დამესიზმრეო... მაინც შენ გეცი ამ ეტაპზე პატივი. თუმცა გაფრთხილებ კოშმარებსაც მოგივლენ, თუკი ჩემს ნათქვამს არ შეისმენ!...“

ასე ლაკონიურად, ორიგინალურად მიუთითა ავტორმა უმაღლეს ხელისუფალს. ეს რჩევაც იყო და გაფრთხილებაც, რასაც არც მაშინდელი და არც ახლანდელი ხელისუფალი ყურად არ იღებს, არაფრად დაგიდევს კრიტიკას, ხალხის აზრს და არც ინტელექტუალთა შეგონებები უღირს რამედ. მიზეზი ამ ყველაფრისა კონკრეტულ პიროვნებებში კი არ უნდა ვეძიოთ მხოლოდ, არამედ საზოგადო სენზე უნდა მივუთითოთ. ყველაფერში დამნაშავე თავად ჩვენ ვართ, საზოგადოება და ეს აზრია სწორედ გამოხატული ლაშა ბუღაძის მორიგ სვეტში „უბედნიერესი ერი“, რომელიც 2009 წლის 8 მაისს, იმავე რუბრიკით დაიბეჭდა. ამონარიდი, რომელსაც დავიმოწმებთ მწერლის უმწვავესი რეაქციაა ქვეყანაში არსებულ სავალალო ვითარებაზე:

„არცერთი მხარე არ არის ორიენტირებული პოზიტივზე... ერთადერთი ორიენტირი ძალადობაა. სიმშვიდე და რაციონალიზმი არააქტუალურია. კომპრომისისკენ მოწოდება ღალატი და სისუსტის მაჩვენებელი... ყოველთვის ასეა, მთავარია პიროვნულად დავრჩეთ გამარჯვებულები, ეს უიღბლო ქვეყანა კი ჯანდაბამდეც წასულა! რა საშინელი ხალხი ვართ, რა საშინელი უფროსები გვყავს! ჩვენი ისტორია ჩვენივე იდიოტიზმის და ეგოცენტრიზმის ისტორიაა. მაგრამ ხომ იცით, რაც უფრო იდიოტია ადამიანი, ის მით უფრო ბედნიერია. თუ არ მენდობით, კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ი. ჭავჭავძის „ბედნიერი ერი“

შეიძლება ითქვას, რომ ლაშა ბუღაძის სვეტებში თანადროულობის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და აქტუალური საკითხია განხილული. ავტორი თავის ჩვეულ სტილს არც ამჯერად ღალატობს და ირონიით, ნართაულად, სხარტი, მოქნილი ენით გადმოგვცემს საკუთარ სათქმელს, რომელიც მრავალთა თვალსაზრისსაც ეხმიანება.

დასკვნა

ამგვარად, ჩვენ მიერ შერჩეული მწერალ-მესვეტეთა ტექსტების ანალიზმა დაადასტურა ნაშრომის მიზანდასახულობა და ჩვენი ვარაუდი, რომ თანამედროვე ქართველი მწერლები „სვეტის“ ჟანრობრივ ფორმას ეფექტიანად იყენებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და საზოგადოების აქტუალურ პრობლემატიკაზე მსჯელობისთვის; ცალკეულ საკითხებთან მიმართებით საკუთარი კრიტიკული თვალსაზრისის დაფიქსირებისა და აუდიტორიის მიმხრობისთვის.

კიდევ ერთხელ წარმოჩნდა სვეტის, როგორც პოპულარული ჟურნალისტური ფორმის ქმედითუნარიანობა. მისი მომარჯვებით ქართველი მწერლები ახერხებენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემატიკის წარმოჩენას. ორიგინალური ხელწერით, განსხვავებული სტილითა და მდიდარი მხატვრული აქსესუარით გამორჩეული მედიატექსტები ცხადყოფს წარმოდგენილი ჟანრის სიცოცხლისუნარიანობას და მის ეფექტიანობას საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების აქცენტირებისათვის, რაც მათი მოგვარებისკენაა მიმართული. ეს კი, უპირველესად, მწერლის სამოქალაქო პოზიციით გაცხადებული სურვილი და ძალისხმევაა.

ბიბლიოგრაფია

Е. М. Деяк Якобишина, Авторская колонка: Традиционный Жанр или Новая Форма, 2013, Веснік БДУ

Глушко А .К. Основы журналистских знаний,(2001),Киев,

Дэннис Э., Мэррил Дж . Беседы о массмедиа, (1997)

С.С. Ярцева, Жанровые Признаки Колонки, 2011 Воронежский государственный университет

https://en.wikipedia.org/wiki/Columnist

Dolan Jill, The Feminist Spectator as Critic, (2012 10 24),University of Michigan Press

Monica Mc Cape Cardoza, “You can write a column”,

გერსამია მარიამ, ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, (2011), „უნივერსალი“

ზურაბიშვილი თინათინ, თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, (2006), „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“

ტყებუჩავა დიანა, ჟურნალისტიკამცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში, (2009), გამომცემლობა „უნივერსალი“

შამილიშვილი მანანა, ვაჟა ფშაველა მესვეტე, (2011), ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №3, ივლისი, 2016

Journal of Young Researchers. No. 3, July, 2016

SECURITIZATION OF THE ETHNIC RUSSIANS AND THE RUSSIAN NATIONALS LIVING ABROAD AS A FOREIGN POLICY INSTRUMENT OF THE RUSSIAN FEDERATION: THE CAS ES OF GEORGIA AND UKRAINE

Irakli Sirbiladze*

Master of Arts in Diplomacy and International Politics, Department of International Relations, Faculty of Social and Political Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს რუსეთის საგარეო პოლიტიკის გარკვეულ ასპექტებს სეკურიტიზაციის თეორიის თვალთახედვით. კერძოდ, ნაშრომი ცდილობს დაადგინოს თუ რამდენად და როგორ ახდენს რუსეთი საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკური რუსებისა და რუსი მოქალაქეების სეკურიტიზაციას და იყენებს ამ პროცესს საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებით საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და გასამართლებლად.

ამჟამად, საქართველოს მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქვეყანაში მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების პროცესი და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მომავალში მნიშვნელოვნად გაიზრდება, შესაბამისად გაიზრდება წნეხი სახელმწიფო ბიუჯეტზე და საპენსიო უზრუნველყოფის ალტერნატიული წყაროს შექმნის გარეშე, მნიშვნელოვნად გართულდება ხანდაზმული პირის უზრუნველყოფა ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი ოდენობის პენსიით. სწორედ ამიტომ, ქვეყანაში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს საპენსიო სისტემის რეფორმის საკითხი, რომლის ერთ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა გახდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა.

წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია საპენსიო სისტემების დანერგვისა და განვითარების ისტორია საქართველოსა და მსოფლიო მასშტაბით; განხილულია საქართველოს ხელისუფლების გეგმები და დაპირებები საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით; ჩვენს მიერ ჩატარებულ რაოდენობრივ სოციოლოგიურ კვლევაზე დაყრდნობით, შესწავლილია ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ამჟამად არსებული და ალტერნატიული საპენსიო სისტემების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო საპენსიო პოლიტიკა, საპენსიო რეფორმა, საზოგადოებრივი აზრის კვლევა, დაგროვებითი საპენსიო სისტემა, გადანაწილებითი საპენსიო სისტემა.

Abstract

Pension system is one of the most important parts of state's social policy. Without implementing the efficient pension system, it is very difficult to develop economy of the country and improve social economic conditions of the people.

Currently, pensions in Georgia are provided only by state budget. Georgian population is ageing and the share of pensioners in total population is going to rise significantly in the future, therefore the pressure on state budget will rise and it will be much difficult to provide pensions that are sufficient to protect elderly people against the risk of poverty. That is why the issue of pension system reform in Georgia is becoming more relevant. One of the most important parts of the reform must be the public opinion survey.

*ელფოსტა: jabaurotadze@yahoo.com

In given research, we analyze the history of introduction and development of pension systems in Georgia and the world; make overview of plans and promises of Georgian government to reform current pension system; study attitudes of Georgian soci ety to existing pension system and alternative pension systems based on survey which we conducted in 2014.

Key words: public pension policy, pension reform, public opinion survey, funded pension system, redistributive pension system.

შესავალი

საქართველოში საპენსიო ასაკის მოსახლეობა მძიმე სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება, პენსიების ოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო ხელფასს. ქვეყანაში მოქმედებს გადანაწილებითი საპენსიო სისტემა, რომლის მიხედვით, დღევანდელი დასაქმებული იხდის გადასახადებს დღევანდელი პენსიონერის სოციალური უზრუნველყოფისთვის. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამჟამად, სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება ასაკით პენსიებზე. ეს ტვირთი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან საქართველოში მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების პროცესი და მნიშვნელოვნად გართულდება ხანდაზმული ადამიანის ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი ოდენობის პენსიით უზრუნველყოფა, მხოლოდ ბიუჯეტის ხარჯზე.

ბოლო წლებში საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული რამდენიმე კვლევა განხორციელდა: USAID ის ხელშეწყობით „სავალდებულო დაგროვებითი პენსია და საპენსიო რეფორმა“ (Balbin & Darchia, 2012), „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიერ „საჭიროა თუ არა საპენსიო რეფორმა?“ (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013). მათი ავტორები მიუთითებენ საპენსიო რეფორმის განხორციელების საჭიროებაზე და რეკომენდაციას უწევენ სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვას საქართველოში. 2016 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მომზადდა საპენსიო რეფორმის ანგარიში, რომელსაც ქვევით განვიხილავთ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016).

სტატიის მიზანია საპენსიო სისტემების განვითარების გაანალიზება მსოფლიოსა და საქართველოს მასშტაბით; საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების გეგმების და დაპირებების მიმოხილვა; არსებული საპენსიო სისტემის და მისი გამოწვევების განხილვა და მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა საპენსიო პოლიტიკასთან და საპენსიო რეფორმასთან მიმართებაში.

მეთოდოლოგიური და თეორიული ჩარჩო

საპენსიო პოლიტიკის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად გამოყენებულ იქნა ტრიანგულაციური მიდგომა, რაც გულისხმობს ერთზე მეტი კვლევის მეთოდის კომბინაციურ გამოყენებას.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინირება და მათი უპირატესობების მაქსიმიზაცია და ნაკლოვანებების შემცირება (Flick, 2014).

ნაშრომში გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზისა და მასობრივი გამოკითხვის მეთოდები.

დოკუმენტების ანალიზის მეთოდი გამოყენებულია როგორც დამოუკიდებელი მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოპოვებული იქნა საკვლევ საკითხზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია და როგორც დამხმარე მეთოდი, კვლევის ინსტრუმენტის ფორმირებისთვის.

დოკუმენტების შეგროვებისთვის გამოყენებულია ინტერნეტ ძებნა და ხელით ძებნა. ინტერნეტ ძებნისას გამოიყენება როგორც პოპულარული საძიებო სისტემები (მაგ. http://www.google.com;

http://www.msn.com; http://www.search.aol.com; და ა.შ.), ასევე ელექტრონული სამეცნიერო ბაზები (მაგ. Elsevier SCOPUS, Elsevier Science Direct, JSTOR, EBSCO Host). მონაცემების შესაგროვებლად გამოვიყენეთ სიტყვა–გასაღების'სხვადასხვაგვარი კომბინაციები. ხელით ძებნა განხორციელდა როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბიბლიოთეკებში.

კვლევის პროცესში შეგროვებულ იქნა როგორც პირველადი ისე მეორადი ტიპის დოკუმენტები, კონკრეტულად კი:

- სამეცნიერო ნაშრომები საპენსიო პოლიტიკის შესახებ;
- სამართლებრივი აქტები;
- სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები.

მონაცემების შეგროვების შემდეგ მოხდა დოკუმენტების შეფასება. კონკრეტულად, შეფასდა მონაცემების სიზუსტე და ღირებულება. დოკუმენტების ვალიდურობის დასადგენად გამოყენებულ იქნა მანიონისა და კოჰენის ვალიდურობის განმსაზღვრელი 4 კრიტერიუმი: "აუთენტურობა, დამაჯერებლობა (სიზუსტის, ლეგიტიმურობისა და გულწრფელობის ჩათვლით), რეპრეზენტაციულობა (ხელმისაწვდომობის ჩათვლით და რა დოკუმენტებმაც გაუძლო დროის მსვლელობას) და მნიშვნელობა (რეალური და ინტერპრეტაციული)" (კოჰენი, მანიონი, & მორისონი, 2011).

შეგროვებული დოკუმენტების შეფასებისა და ვალიდურობის დადგენის შემდეგ განხორციელდა მათი შედარება, კომპონენტებად დაშლა, საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემა და დასკვნების გამოტანა.

მასობრივი გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის მეთოდია, რომელიც გამოყენებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და მოლოდინების შესასწავლად. გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის ზაფხულში. გამოკითხვის მეთოდი პირისპირი ინტერვიუ. კვლევის სამიზნე ჯგუფი ქალაქ თბილისში მცხოვრები სრულწლოვანი პირები. შერჩევის ჩარჩო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ამომრჩეველთა სია. შერჩევის ზომა 707 ინტერვიუ, ცდომილების ზღვარი შეადგენს 3.6 % ს 90% იანი სანდოობის მაჩვენებლით, რაც საშუალებას გვაძლევს კვლევის შედეგების გენერალიზება მოვახდინოთ თბილისის მოსახლეობაზე. შერჩევის დიზაინი მარტივი შემთხვევითი შერჩევა.

საველე სამუშაოების დასრულებისთანავე განხორციელდა კითხვარების შემოწმება, რედაქტირება და კოდირება. შეიქმნა SPSS–ის ჩარჩო, მოხდა მონაცემების შეტანა, გაწმენდა და სტატისტიკური დამუშავება. რაოდენობრივი მონაცემები გააანალიზდა ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

კვლევის პირველ ეტაპზე მიღებული ემპირიული მონაცემების ასახსნელად გამოყენებულ იქნა "ინოვაციების გავრცელების თეორია", რომელიც მიზნად ისახავს ახსნას, თუ როგორ ინერგება სიახლეები საზოგადოებაში. "ინოვაციების გავრცელების თეორია" შეიმუშავა პროფესორმა ევერეტ როჯერსმა (Rogers, Diffusion of innovations, 1962) (Rogers, Difussion of Innovations, 2003) რომლის მიხედვით, ინოვაციის გავრცელების ხარისხზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: რა ხარისხით აღიქმება ინოვაცია, როგორც მის წინ არსებულ იდეაზე უკეთესი; რამდენად თავსებადია ინოვაცია არსებულ ღირებულებებთან, წარსულის გამოცდილებასთან და ინოვაციის პოტენციური მიმღებების საჭიროებებთან; რამდენად ადვილადაა გასაგები და გამოსაყენებელი ინოვაცია; რამდენად ექვემდებარება ინოვაცია გამოცდას/ტესტირებას და რამდენადაა შესაძლებელი ინოვაციის შედეგების დანახვა.

როჯერსმა გამოყო ინოვაციის მიმღებთა 5 კატეგორია, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდება სიახლის მიღებისადმი მიდრეკილების ხარისხით: ინოვატორები, ადრეული ადეპტები, ადრეული უმრავლესობა, გვიანი უმრავლესობა და ჩამორჩენილები. პირველები ეცნობიან სიახლეს ინოვატორები (შეადგენენ მოსახლეობის 2,5% ს), რომლებიც სიამოვნებით ითვისებენ ახალ იდეებს. აქვთ კონტაქტი საკუთარი წრის გარეთაც. მათ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები გააჩნიათ და ამიტომ მზად არიან გარისკონ და ნაკლებად იდარდონ შესაძლო დანაკარგებზე. ისინი ხელს უწყობენ ინოვაციის გავრცელებას

სოციალურ სისტემაში. შემდეგ მოდიან ადრეული ადეპტები (13,5%) – მათ აქვთ დიდი ავტორიტეტი საზოგადოებაში. არიან ფინანსურად უზრუნველყოფილნი და მომდევნო კატეგორიებთან შედარებით უფრო ინფორმირებულნი. მათ მიერ ინოვაციის მიღება აჩენს ნდობას საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ამ სიახლის მიმართ. მათ მოჰყვება ადრეული უმრავლესობა (34%), რომლებშიც ინოვაცია პირველ ორ კატეგორიასთან შედარებით უფრო დიდი დროის მანძილზე ვრცელდება. შემდეგ სიახლეს იღებს გვიანი უმრავლესობა (34%), ყველაზე ბოლოს ინოვაცია შეიძლება მიიღოს ჩამორჩენილთა კატეგორიამ (16%), რომლებიც ეჭვით უყურებენ სიახლეებს და უმეტეს შემთხვევაში არა აქვთ საკმარისი შემოსავალი. როჯერსის აზრით, მნიშვნელოვანია ამ ჯგუფების იდენტიფიცირება და თითოეულ სეგმენტთან შესაბამისი მუშაობის სტრატეგიის შემუშავება (Rogers, Difussion of Innovations, 2003) (Robinson, 2009).

საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის განვითარების მიმოხილვა

ქვეყანა, სადაც საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა დაინერგა, იყო გერმანია. 1889 წელს, კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის ინიციატივით, გერმანიაში მიიღეს სიბერისა და შრომისუუნაროობის დაზღვევის კანონი და შეიქმნა სოციალური დაზღვევის სისტემა ყველა დასაქმებულისათვის. სადაზღვევო სისტემა ფინანსდებოდა როგორც დასაქმებულთა, ისე დამსაქმებელთა შენატანებით. საპენსიო ასაკად განისაზღვრა 70 წელი. პენსიის ოდენობა დამოკიდებული იყო მუშაობის განმავლობაში განხორციელებული შენატანების ოდენობაზე. სისტემის მიზანს წარმოადგენდა პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრების იმ დონის შენარჩუნება, რაც ადამიანს მუშაობის პერიოდში ჰქონდა (Maydell, 2006) (Boersch Supan & Wilke, 2004).

1891 წელს დანიაში, 1898 წელს ახალ ზელანდიაში, ხოლო 1908 წელს დიდ ბრიტანეთში დაინერგა გერმანული მოდელისგან განსხვავებული საპენსიო სისტემა. მისი მიზანი იყო არა პენსიონერის ცხოვრების დონის შენარჩუნება, არამედ სიღარიბის შემცირება. ბისმარკის მოდელისგან განსხვავებით, ამ სისტემაში პენსიები საერთო გადასახადებიდან ფინანსდებოდა და მხოლოდ ღარიბ ხანდაზმულთათვის იყო განკუთვნილი (Maydell, 2006), (Macnicol, 2002), (Гайдар, 2004)

მეოცე საუკუნეში მოხდა განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემების თანდათანობით დაახლოება. იქ, სადაც პენსიები განისაზღვრებოდა სადაზღვევო შენატანებით (გერმანია), შემოღებულ იქნა გარანტირებული მინიმალური პენსია, რომელიც არ იყო დამოკიდებული შენატანების ოდენობაზე. ქვეყნებში, სადაც თანაბარი ოდენობის პენსიები იყო და დაფინანსების წყაროს საერთო გადასახადები (სახელმწიფო ბიუჯეტი) წარმოადგენდა, გაუქმდა სიღარიბეზე კონტროლი (Гайдар, 2004), პიროვნების მატერიალური მდგომარეობა აღარ განიხილებოდა, როგორც მისი საპენსიო უზრუნველყოფის წინაპირობა. დიდ ბრიტანეთში 1946 წელს მიღებული ეროვნული დაზღვევის აქტით, თანაბარი ოდენობის მინიმალურ პენსიას დაემატა სავალდებულო სოციალური დაზღვევა.

1981 წელს ჩილემ პირველმა შემოიღო სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, სადაც მოსახლეობის საპენსიო შენატანები იმართება კერძო საპენსიო ფონდების მიერ, ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფს მხოლოდ ღარიბი მოსახლეობის სოციალურ დაცვას. აღნიშნულმა საპენსიო სისტემამ ჩაანაცვლა მანამდე არსებული სახელმწიფო გადანაწილებითი საპენსიო სისტემა, რომელსაც ეწოდება “Pay as you Go” და მისი არსია ის, რომ დღევანდელი დასაქმებულის გადასახადით ფინანსდება დღევანდელი ხანდაზმული პენსიონერი. ჩანაცვლების მიზეზი იყო სახელმწიფო საპენსიო ფონდების არაეფექტიანი მენეჯმენტი, სოციალურ ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს როლის შემცირების სურვილი (Ruiz Tagle & Castro, 1998) და აგრეთვე, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, რაც გამოიხატება მოსახლეობაში ხანდაზმულთა ხვედრითი წილის ზრდაში.

მოგვიანებით, ლათინური ამერიკის ბევრმა სხვა ქვეყანამაც შემოიღო `ჩილეს მოდელი~. ესენია: კოლუმბია (1993), პერუ (1993), არგენტინა (1994), კოსტა რიკა (1995), ურუგვაი (1996), ბოლივია (1997), მექსიკა (1997), სალვადორი (1998), დომინიკის რესპუბლიკა (2003), პანამა (2008) (Kritzer, 2008).

1990 იანი წლებიდან აღმოსავლეთ ევროპის ცამეტმა სახელმწიფომ (პოლონეთი, უნგრეთი,

ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, მაკედონია, კოსოვო, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუსეთი) შემოიღო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა (უმეტეს შემთხვევაში სავალდებულო) როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე სოციალური წნეხის შემსუბუქების საშუალება, ერის დაბერებისა და ხანდაზმულთა წილის განუხრელი ზრდის ფონზე. ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში, როგორც აღვნიშნეთ, იგივე მიზეზით, კერძო დაგროვებითმა საპენსიო სისტემამ ჩაანაცვლა სახელმწიფო გადანაწილებითი პენსია. 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობამ შეზღუდა შენატანების გადარიცხვა კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემაში და დაგროვებული თანხები გადაიტანა მიმდინარე საპენსიო ვალდებულებების დასაფინანსებლად სახელმწიფო გადანაწილებით საპენსიო სისტემაში. შედეგად, მოკლევადიან პერსპექტივაში მათ შედარებით გაუადვილდებათ სოციალური ვალდებულებების შესრულება, მაგრამ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ექსპერტის, ედვარდ ვაითჰაუზის (Whitehouse, 2012) აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში მათ მნიშვნელოვნად დაუმძიმდებათ ფისკალური ტვირთი მოსახლეობის დაბერების გამო. OECD ის მიერ 2011 წელს გამოცემულ დოკუმენტში/ანგარიშში `*Pensions at a Glance*~ აღნიშნულია: `...დასანანი იქნება იმ საპენსიო რეფორმებიდან გადახვევა, რომლის მიზანი იყო მეტი კერძო დანაზოგის დაგროვება სიბერისთვის. გრძელვადიან პერსპექტივაში... გადანაწილებითი და დაგროვებითი საპენსიო მოდელების კომბინაცია წარმოადგენს არა მხოლოდ ყველაზე რეალისტურ პერსპექტივას, არამედ საუკეთესო პოლიტიკას~ (Organisation for Economic Co operation and Development (OECD), 2011). მსოფლიო ბანკის ექსპერტთა აზრით, იმ სახელმწიფოებს, სადაც ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერება, მომავალში გაუჭირდებათ ჩანაცვლების კოეფიციენტის (პენსიის ოდენობის შედარება ხელფასთან, რომელიც პირს ჰქონდა პენსიაზე გასვლემდე ავტ.) იმავე დონეზე შენარჩუნება და იმისათვის, რომ მკვეთრად არ შემცირდეს ადამიანის ცხოვრების დონე პენსიაზე გასვლის შემდეგ, საჭიროა კერძო საპენსიო დანაზოგების განხორციელების წახალისება (Schwarz & Arias, 2014).

საქართველოში პენსიების შემოღება, მისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდს უკავშირდება.

რუსეთში პენსია შემოიღო პეტრე I მა სამხედრო ოფიცრებისთვის, რომლებიც პენსიის მიღების უფლებას მოიპოვებდნენ დადგენილი სამსახურის სტაჟის დაგროვების შემდეგ. პენსიის დანიშვნამ და გაცემამ მწყობრი სისტემის სახე 1827 წელს მიიღო, ნიკოლოზ I ს დროს. პენსიას იღებდნენ საკლასო ჩინის მფლობელი სახელმწიფო მოსამსახურეები, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირები. მაქსიმალური ოდენობის პენსიის მისაღებად საჭირო იყო 35 წლიანი სამსახურის სტაჟი. ამის შემდგომ პენსიის მიღების უფლების მქონე პირთა წრე თანდათანობით ფართოვდებოდა და მოგვიანებით მოიცვა დაბალი რანგის სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებსაც არ ჰქონდათ ჩინი სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე ექიმები, მასწავლებლები, მუშები და სხვა (Кречетников, 2010) (пенсионный фонд российской федерации, 2016).

ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააუქმეს მეფის რუსეთის დროინდელი პენსიები. 1918 წლიდან მათ შემოიღეს პენსიები წითელი არმიის ინვალიდებისათვის, მოგვიანებით კი დააწესეს ასაკთან დაკავშირებული პენსიები: 1923 წლიდან პარტიული აქტივისტებისთვის (ხანდაზმული ბოლშევიკებისთვის) (Пенсионный фонд Российской Федерации, 2016), 1924 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისათვის (Совет Народных Комиссаров РСФСР, 1924), 1928 წლიდან სამთო მოპოვებითი და საფეიქრო მრეწველობის მუშებისათვის. 1937 წლისთვის ასაკით პენსიის მიღების უფლება მოიპოვა ყველა ქალაქის მუშამ და სახელმწიფო მოსამსახურემ (Пенсионный фонд Российской Федерации, 2016). 1964 წელს ასაკით პენსიის მიღების უფლება გახდა საყოველთაო, მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობებში დასაქმებულებმაც მოიპოვეს მისი მიღების უფლება (Верховный Совет Союза Советских Социалистических Республик, 1964). პენსიები ფინანსდებოდა

საწარმოების/ორგანიზაციების მიერ გადახდილი სოციალური შენატანების მეშვეობით. საპენსიო ასაკი კაცისთვის იყო 60, ქალისთვის 55 წელი. პენსიის ოდენობა დამოკიდებული იყო შრომით სტაჟსა და ხელფასზე.

დამოუკიდებელ საქართველოს მემკვიდრეობით ხვდა წილად საბჭოთა საპენსიო სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა პენსიაზე გასვლამდე არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებას.

პენსია შეადგენდა მუშაობის ბოლო, ან ბოლო 5 წლის (რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნებოდა პენსიონერისთვის) ხელფასის 55% ს (World Bank, 1993).

პენსიებისა და სხვა სოციალური გასაცემლების ადმინისტრირება ხდებოდა ერთიანი საპენსიო და სამედიცინო დაზღვევის ფონდის მიერ. ფონდი ფინანსდებოდა სოციალური შესატანებიდან, რომელსაც იხდიდა როგორც დამსაქმებელი (სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში მყოფი საწარმოები სახელფასო ფონდის 37% ის ოდენობით, საბიუჯეტო დაწესებულებები სახელფასო ფონდის 26% ის ოდენობით), ისე დასაქმებული (ხელფასის 1%) (World Bank, 1993).

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში საქართველოში საპენსიო ვალდებულებები საკმაოდ დიდი იყო 1991 წლის მონაცემებით საპენსიო დანახარჯები შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 10% (World Bank, 1993), რაც უახლოვდება განვითარებული ქვეყნების დანახარჯებს ამ სფეროში. შედარებისთვის 2015 წელს საქართველოში ეს რიცხვი დაახლოებით 4,4% შეადგენდა. მსოფლიო ბანკის 1993 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, შემოსავლები, რომლითაც უნდა დაფინანსებულიყო პენსიები, სწრაფად იკლებდა ეკონომიკური პრობლემების გამო. იმავე ანგარიშის მიხედვით, 1992 წელს ფონდის შემოსავლებმა დაგეგმილის 50 60% შეადგინა, რის გამოც, პენსიების გაცემა არარეგულარულად ხდებოდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეკონომიკური კოლაფსის პირობებში, აღნიშნულ პრინციპზე დაფუძნებული საპენსიო სისტემის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა.

სოციალური შესატანების/გადასახადის (1997 წელს ტერმინი `სოციალური შესატანი~ შეიცვალა `სოციალური გადასახადით~) განაკვეთები დროთა განმავლობაში იცვლებოდა (2004 წელს ახალი ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, ეკონომიკური აქტივობის წახალისების მიზნით, მისი განაკვეთი შემცირდა 20% მდე), ისევე, როგორც სახელმწიფო ფონდის სახელწოდება. სოციალურმა შესატანმა/გადასახადმა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე დაკარგა ის ფუნქცია, რაც მას აქვს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც პენსიის ოდენობა დამოკიდებულია მუშაობის მანძილზე გადახდილი სოციალური შენატანის ოდენობაზე. 2008 წელს სოციალური გადასახადი საერთოდ გაუქმდა.

პენსიის ოდენობა აღარ ეფუძნებოდა პენსიაზე გასვლამდე არსებულ ხელფასს და მხოლოდ სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველივე წლებიდან (1993 წ), პენსიის ოდენობა გათანაბრდა ყველა ასაკით პენსიონერისათვის და შეადგინა 50 აშშ ცენტის ეკვივალენტი კუპონებში. 1996 წელს პენსია გახდა 14 ლარი ეს ოდენობა უცვლელი დარჩა 2004 წლამდე და ინფლაციის გამო მისი მსყიდველუნარიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა (თუ აშშ დოლარებში ვიანგარიშებთ 1996 წელს პენსია იყო 11 დოლარი, 2003 წელს 6,54). 2003 წელს პენსია იმ დროისთვის არსებული საშუალო ხელფასის 11,1% შეადგენდა (2014 წელს ეს მაჩვენებელი 18,3% იყო) და მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა საარსებო მინიმუმს (საარსებო მინიმუმის დაახლოებით 17%). 2016 წლის 1 ივლისიდან მისი ოდენობა 180 ლარი გახდება რაც მცირედით აღემატება საარსებო მინიმუმს (163,2 ლარი 2016 წლის თებერვლის მონაცემებით).

ბიუჯეტზე წნეხის შემცირების მიზნით, 1996 წელს, საპენსიო ასაკი 5 წლით გაიზარდა და შრომითი პენსიისთვის 65 (კაცი) და 60 (ქალი) წელი შეადგინა, ხოლო სოციალური პენსიისთვის (მათთვის, ვინც ვერ დააგროვა დადგენილი სტაჟი 25 წელი კაცისთვის, 20 წელი ქალისთვის) ეს მაჩვენებლები იყო შესაბამისად 70 და 65 წელი.

საქართველოში იყო საპენსიო სისტემის სავალდებულო სადაზღვევო პრინციპზე გადასვლის

მცდელობა და 2003 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები `სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ~, „სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ“ და `სავალდებულო სოციალური დაზღვევის სფეროში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შემოღების შესახებ~, რომელთა მიხედვით, ასაკით სავალდებულო სადაზღვევო პენსია უნდა განსაზღვრულიყო ორი საბაზისო და სადაზღვევო ნაწილით. საბაზისო ნაწილი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო პენსიის დანიშვნის წინა წელს ქვეყანაში არსებული საშუალო თვიური ხელფასის ოდენობაზე (საბაზისო ნაწილი = 0.13 x საშუალო ხელფასი), ხოლო სადაზღვევო ნაწილის ოდენობა დამოკიდებული იქნებოდა დაზღვეულის შრომითი საქმიანობის განმავლობაში გადახდილი სოციალური შენატანის ოდენობასა და შრომით სტაჟზე. თუმცა, 2003 წლის ნოემბერში, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, კანონების ამოქმედება გადაიდო, ხოლო 2005 წელს მიღებული კანონით „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, ზემოაღნიშნული კანონები გაუქმდა. შედეგად, შენარჩუნდა საპენსიო უზრუნველყოფის 1990 იან წლებში ჩამოყალიბებული სისტემა, რომლის მიხედვით, სახელმწიფო თავად ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფას. პენსიის ოდენობა არ არის დამოკიდებული შრომითი საქმიანობის განმავლობაში გადახდილი გადასახადის ოდენობასა და შრომით სტაჟზე. საქართველოს დღევანდელი საპენსიო სისტემის მიზანია ხანდაზმულებში სიღარიბის დონის შემცირება, რასაც საარსებო მინიმუმთან მისი თანაფარდობაც ადასტურებს.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საპენსიო სისტემის რეფორმის საჭიროება ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მომზადებულ საარჩევნო პროგრამაში აღნიშნა:

,,საჭიროა, ჩამოყალიბდეს დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომლითაც მოქალაქის მიერ პენსიის მიღების საფუძველი იქნება მისი საპენსიო შენატანებით დაგროვებული სახსრები.

საქართველოში ამოქმედდება ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის უნიფიცირებულ კანონმდებლობაზე დაფუძნებული ახალი სისტემა, რომლის მეშვეობითაც თანდათანობით გავხდებით ევროპის სოციალური სივრცის ორგანული შემადგენელი ნაწილი. ახალი სისტემის საფუძველი მსოფლიოში აღიარებული ისეთი პრინციპებია, როგორიცაა სამართლიანობა, სოლიდარობა და გარანტირებულობა. (პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“, 2012).

კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე, 2012 წლის ბოლოდან, დაიწყო მუშაობა საპენსიო რეფორმის საკითხებზე, რომელიც დაგროვებითი საპენსიო სისტემის განვითარებას გულისხმობს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისისN#400 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, რომლის მიხედვით მთავრობამ აიღო დაგროვებით საპენსიო სისტემის განვითარების ვალდებულება: „პენსიონერთა რაოდენობა მზარდია და გაეროს მონაცემებით პენსიონერების რაოდენობა 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის 25% ს მიაღწევს, რაც სოციალური დანახარჯების მუდმივ ზრდას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეტაპობრივად დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბაზისო პენსიის არამდგრადი ზრდისგან გამოწვეული წნეხის შემსუბუქებას“ (საქართველოს მთავრობა, 2014).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი 38,1 წელია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2015 წელს შედგენილი `მსოფლიო მოსახლეობის პროგნოზის~ მიხედვით, 2045 წლისთვის ეს მაჩვენებელი 46,1 წლამდე გაიზრდება (United Nations, 2015). ასაკობრივი დამოკიდებულების ინდექსი (old age depend ratio რამდენი 65 წელზე უხნესი ადამიანი მოდის ყოველ 100 შრომისუნარიანი ასაკის (15 65) ადამიანზე) 2015 წელს შეადგენდა 20,4, 2060 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზრდება 53 მდე (United Nations, 2015) – აქედან გამომდინარე, საქართველოს

სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მომავალში მნიშვნელოვნად გართულდება ხანდაზმულთა უზრუნველყოფა ღირსეული ცხოვრებისთვის საჭირო პენსიებით. დაგროვებითი პენსიის დანერგვა კი, სავარაუდოდ, ჩვენი ქვეყნისათვის მომგებიანი იქნება, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის განთავისუფლებას წნეხისგან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემუშავდა საპენსიო რეფორმის მოდელი მსოფლიო ბანკის აქტიური მონაწილეობით. საპენსიო რეფორმის მოდელს ამ ეტაპზე შემდეგი სახე აქვს: მოქალაქე თავად ირჩევს ჩაერთოს თუ არა კერძო ნებაყოფლობით დაგროვებით საპენსიო სისტემაში. აღნიშნულ სისტემაში ჩართვის შემთხვევაში, დასაქმებული გადარიცხავს ხელფასის კანონმდებლობით დადგენილ ნაწილს სახელმწიფოს მიერ დაარსებულ არაკომერციულ საპენსიო ფონდში. აგრეთვე დამსაქმებელი და სახელმწიფოც ვალდებულნი იქნებიან გადარიცხონ დადგენილი თანხები საპენსიო ფონდში დასაქმებულის სახელზე. დაგროვებული თანხების მართვას (ინვესტირებას) კერძო კომპანია განახორციელებს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016).

საზოგადოებაში დღეისათვის დაგროვებითი საპენსიო სისტემის კონკრეტული მოდელების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა.Eექსპერტები ძირითადად დაგროვებითი სისტემის ორ ალტერნატივას განიხილავენ: სახელმწიფო დაგროვებითსა და კერძო დაგროვებითს.

სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო მოდელი გულისხმობს სახელმწიფო საპენსიო ფონდის შექმნას.

აღნიშნულ ფონდში დასაქმებულის საპენსიო ანგარიშის შევსების წყარო შეიძლება იყოს:

1. დამსაქმებელი, რომელიც საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს დაქირავებულის საპენსიო დაზღვევას;

2. დასაქმებული, რომელიც საკუთარი ხელფასის გარკვეულ, კანონით დადგენილ ნაწილს რიცხავს ფონდში, რომლის მართვას სახელმწიფო ახორციელებს.

კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელის მიხედვით, როგორც დამქირავებელი, ისე დაქირავებული, ახდენენ დადგენილი თანხების გადარიცხვას დაქირავებულის სახელზე გახსნილ საპენსიო ანგარიშზე, რომლის მართვას კერძო კომპანია ახორციელებს. სახელმწიფო კი მარეგულირებელ ფუნქციას ასრულებს.

ორივე შემთხვევაში პენსიის ოდენობა დამოკიდებულია ადამიანის მიერ მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში საპენსიო ფონდში შეტანილი თანხების ოდენობაზე და ამ თანხების ინვესტირების შედეგად მიღებულ მოგებაზე.

თითოეული ეს მოდელი შეიძლება იყოს სავალდებულო, ან ნებაყოფლობითი. ასევე შეიძლება სახელმწიფომაც გადარიცხოს თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირის საპენსიო ანგარიშზე, სიბერისთვის თანხის დაგროვების წახალისების მიზნით. მსგავსი ფართომასშტაბიანი სოციალურ ეკონომიკური ხასიათის რეფორმის მომზადება და განხორციელება საჭიროებს ალტერნატივათა დეტალურად განხილვასა და საკითხის მეცნიერულ შესწავლას, რომლის აუცილებელი კომპონენტია საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რადგან მოსახლეობის პოზიციას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს როგორც პოლიტიკურ ნებაზე, ისე – რეფორმის წარმატებით განხორციელებაზე.

თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულება საპენსიო პოლიტიკის მიმართ

საპენსიო პოლიტიკის მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლის მიზნით ჩატარებულმა რაოდენობრივმა სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით, დაემთხვა გენერალური ერთობლიობის ანალოგიურ მაჩვენებლებს: გამოკითხულთა 56,8% ქალია, 43,2% კაცი. ასაკობრივი მახასიათებლის მიხედვით გამოკითხულთა 32,4% 18 დან 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფშია, რესპონდეტთა 26.7% 35 წლიდან 50 წლამდეა, 23.3% 50 წლიდან 65 წლამდე, ხოლო 17.5% არის 65 წლისა და მეტის. კვლევის სამიზნე ჯგუფიდან 49.65% დასაქმებულია, ხოლო 50.3% დაუსაქმებელი.

თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი 63.8% ინფორმირებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი საპენსიო პოლიტიკის შესახებ, მაგრამ არაინფორმირებული ნაწილის მოცულობა 36.2%[1] (იხ. გრაფიკი #1), საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ რეფორმის დანერგვისა და განვითარების პროცესებზე ნეგატიურად აისახოს.

გრაფიკი #1

ინფორმირებულობა ამჟამად მოქმედი ძირითადი საპენსიო მოდელის შესახებ



ის ფაქტი, რომ 36.2% არ ფლობს ინფორმაციას თითოეული მოქალაქისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, შესაძლოა, თავად აღნიშნული ჯგუფის სოციალურ პასიურობაზე მიუთითებდეს. შესაბამისად, საინფორმაციო კამპანიის ორგანიზების შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ექნება საზოგადოების ამ ნაწილის იდენტიფიცირებასა და მასთან მუშაობის სპეციალური მეთოდების შემუშავებას.

აღსანიშნავია, რომ ინფორმირებულობა საპენსიო სისტემის შესახებ არ არის დამოკიდებული სქესსა და ასაკზე, თუმცა მნიშვნელოვან დეტერმინანტად გვევლინება დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც საპენსიო სისტემის რეფორმის წარმატების ერთ ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, რადგან პენსიის დაგროვების ძირითად საფუძველს სწორედ დასაქმება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან შეიმჩნევა უმუშევრობის დონის მნიშვნელოვანი შემცირება და დასაქმებისა და აქტიურობის დონის მნიშვნელოვანი ზრდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015). თუ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდა, დიდი ალბათობით, დაგროვებითი საპენსიო სისტემა უფრო მეტ მხარდაჭერას მოიპოვებს საზოგადოებაში.

გამოიკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება დასაქმების ფაქტორის მიმართ დასაქმებულთა ინფორმირებულობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მათი, ვინც არ არის დასაქმებული.

გამოვლინდა ზოგადი ნეგატიური დამოკიდებულება ამჟამად არსებული საპენსიო სისტემის მიმართ. თბილისის მოსახლეობის იმ ნაწილის მოცულობა, რომელიც თვლის, რომ არსებული საპენსიო სისტემა უზრუნველყოფს სიბერეს, მხოლოდ 1.4% ია. არსებული სისტემის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, მისი

---

[1] რესპონდენტები პასუობდნენ კითხვაზე: გთხოვთ, აღწეროთ, რა ტიპის საპენსიო პოლიტიკა ხორციელდება ამჟამად საქართველოში? გამოკითხულთა 63.8% მა მიუთითა სახელმწიფო გადანაწილებითი, ხოლო 36.2% მა სხვა პასუხი აირჩია

რეფორმირების ხელშემწყობი ფაქტორია.

რაც შეეხება კერძო საპენსიო სისტემას, კითხვას „გსმენიათ თუ არა, კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ?“ უმრავლესობა 56.7% დადებითად პასუხობს. თუმცა, არაინფორმირებულობის მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია 43,3% პასუხობს, რომ არ სმენია ამის შესახებ.

ინფორმირებულობა კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ კორელაციაშია ასაკთან. სახელდობრ, 65 წლისა და მეტი ასაკის რესპონდენტებში ინფორმირებულობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა ასაკობრივი ჯგუფების შესაბამის მაჩვენებლებს: სმენია 43,5%, არ სმენია 56,5% (იხ. გრაფიკი #2).

გრაფიკი #2



თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფი დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვის მიზნობრივ სეგმენტს არ წარმოადგენს, სავარაუდოდ, მიღებული შედეგი რეფორმის განხორციელებაზე არსებითად არ აისახება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თბილისის მოსახლეობის 56.7% ინფორმირებულია კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ. შემდგომ კითხვებზე პასუხის გასაცემად, რესპონდენტებს ბარათების მეშვეობით მიაწოდეს ინფორმაცია სხვადასხვა საპენსიო მოდელების შესახებ. Aმის შემდგომ კი გამოვლინდა, რომ კერძო დაგროვებით სისტემაში ჩართვის მზაობის მქონეთა ჯგუფის მოცულობა დაახლოებით სამჯერ ნაკლებია იმ ჯგუფის მოცულობაზე, რომელიც ამ სისტემაში ჩართვის წინააღმდეგია (იხ. გრაფიკი #3).

გრაფიკი #3



თუმცა, ეს შედეგი რეფორმის განხორციელების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს არ იძლევა, რადგან საზოგადოების ყველაზე ფართო ნაწილს ამჟამად უჭირს გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, ჩაერთვება თუ არა დაგროვებით საპენსიო სისტემაში, რაც ლოგიკურია, რადგან, საქართველოში მსგავსი გამოცდილება ხანმოკლეა. ნებაყოფლობითი კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა საქართველოში დაინერგა 1998 წელს მიღებული კანონით „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ და უკიდურესად მცირე გავრცელებით ხასიათდება. დღემდე დაგროვებითი საპენსიო სისტემით დააზღვეულია 20 000 ადამიანი სარგებლობს. ის ფაქტი, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება, მნიშვნელოვნად აღემატება კატეგორიულად მოწინააღმდეგეთა რაოდენობას, შეიძლება განვიხილოთ როგორც პოტენციალი, საიდანაც მომხრეთა ჯგუფის გაფართოება უნდა მოხდეს. ასეთ პირობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება რეფორმის ადეკვატურად დაგეგმვა (მაგალითად, სავალდებულო დაზღვევის შემოღება, ფართო საინფორმაციო და სარეკლამო კამპანია, საპენსიო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საგადასახადო შეღავათები სისტემაში ჩართული კომპანიებისა და ფიზიკური პირებისთვის და სხვა) და მისი, რაც შეიძლება ნაკლები ხარვეზებით განხორციელება.

კერძო დაგროვებით სისტემაში ჩართვის მზაობა კორელირებს ინფორმირებულობასთან. ვისაც გამოკითხვამდე სმენია კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ, სამჯერ უფრო მეტი აპირებს ჩართვას აღნიშნულ სისტემაში, ვიდრე ის რესპონდენტები, რომლებსაც გამოკითხვამდე არ სმენიათ მის შესახებ (იხ. გრაფიკი #4).

გრაფიკი #4

„აპირებთ თუ არა, ჩაერთოთ კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში?“ კითხვასთან, „გსმენიათ თუ არა კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ?“ მიმართებაში



სახელმწიფო საპენსიო სისტემას საზოგადოების უფრო მეტი ნაწილი ენდობა, ვიდრე – კერძო დაგროვებითს. საპენსიო სისტემების მიმართ ნდობის ერთგანზომილებიანი მაჩვენებლები შემდეგნაირია (იხ. გრაფიკი #5). სახელმწიფო საპენსიო სისტემას ენდობა 44.4%, ხოლო კერძო დაგროვებითს – 23.1%; აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საპენსიო სისტემის მიმართ უფრო მაღალია უნდობლობის მაჩვენებელიც: სახელმწიფო საპენსიო სისტემას არ ენდობა 42%, ხოლო კერძო დაგროვებითს – 38.%; იმ ჯგუფის მოცულობა, რომელსაც კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ ნდობის ხარისხის განსაზღვრა უჭირს (38.5%), გაცილებით აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს სახელმწიფო საპენსიო სისტემასთან მიმართებაში (13.4%):

გრაფიკი #5



საპენსიო სისტემის მიმართ ნდობა დამოკიდებულია ასაკზე (იხ. გრაფიკი #6). სახელმწიფო საპენსიო სისტემის მიმართ ნდობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 18 35 წწ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდა (38.9%); სახელმწიფო საპენსიო სისტემის მიმართ ნდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით 65+ ასაკობრივი ჯგუფი ხასიათდება (52.4%). 18 50 წწ ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელებში უფრო დიდია იმ ჯგუფის მოცულობა, რომელიც ენდობა კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას და უფრო მცირეა იმ ჯგუფის მოცულობა, რომელიც არ ენდობა აღნიშნულ სისტემას, ვიდრე უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებში, რაც რეფორმის ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან 18 50 წწ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები უნდა განვიხილოთ, როგორც საპენსიო რეფორმის მიზნობრივი სეგმენტი, რომელთაც შესაბამისი ცვლილებები რეალურად შეეხება.

გრაფიკი #6



აღსანიშნავია, რომ კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ ნდობის მაჩვენებლები კორელირებს ინფორმირებულობის მაჩვენებლებთანაც: ვისაც გამოკითხვამდე სმენია კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ, უფრო მეტად ენდობა აღნიშნულ სისტემას, ვიდრე ის რესპონდენტები, რომლებსაც გამოკითხვამდე არ სმენიათ მის შესახებ (იხ. გრაფიკი #7)

გრაფიკი #7



მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო საპენსიო სისტემისადმი უნდობლობას მის მიმართ უკვე ჩამოყალიბებული ნეგატიური დამოკიდებულება განსაზღვრავს, ხოლო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემისადმი უნდობლობას – ამ სისტემის მიმართ გამოვლენილი ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი. ე. ი. კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ არსებული უნდობლობა მნიშვნელოვანწილად არაინფორმირებულობის შედეგია (უნდობლობა უცნობი ფენომენის მიმართ), რაც შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვის შემთხვევაში, რეფორმის ერთ ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ წინაპირობად შეიძლება იქცეს.

კითხვაზე: "რა მიგაჩნიათ სიბერის უზრუნველყოფის ყველაზე უსაფრთხო საშუალებად?" მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა (გრაფიკი #8):

გრაფიკი #8



მიღებული შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სიბერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოლოდინები (უსაფრთხოება/რისკები) საკვლევ პოპულაციაში საკმაოდ მკაფიოდ არის გამოკვეთილი – კითხვაზე პასუხის გაცემა რესპონდენტთა მხოლოდ 0.5% ს გაუჭირდა; თბილისის მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი – 52.9% სიბერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ყველაზე უსაფრთხოდ საკუთარ დანაზოგს (28.5%) ან ოჯახს (24.4%) მიიჩნევს; საპენსიო სისტემაზე ორიენტირებულთა უმრავლესობა (33%), უფრო უსაფრთხოდ სახელმწიფო საპენსიო სისტემას მიიჩნევს, ვიდრე – კერძოს, ამასთან, ისინი თითქმის თანაბრად ნაწილდებიან პენსიის კონკრეტული სახის (გადანაწილებითი 16.3%; დაგროვებითი – 16.7%) მიხედვით.

საქართველოს უახლესი წარსულიდან გამომდინარე, ასეთი შედეგები საკმაოდ ლოგიკურია. თანამედროვე საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერია ტრადიციული ორიენტაციები; დაბალია ნდობის ხარისხი სოციალურ პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ; საბაზრო ეკონომიკა ფორმირების პროცესშია, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში არის შემორჩენილი კომუნისტური იდეოლოგიის გადმონაშთი – უნდობლობლობა კერძო კომპანიების მიმართ, რასაც ის ფაქტიც აძლიერებს, რომ ქვეყნის სადაზღვევო ბაზარი შედარებით სუსტადაა განვითარებული. სადაზღვევო ბაზრის არამდგრადობის უახლესი მაგალითია სადაზღვევო კომპანია `არქიმედეს გლობალ ჯორჯიას~ გაკოტრება, რომელმაც ვერ შეძლო აღებული ვალდებულებების შესრულება. ახალგაზრდა ან საშუალო ასაკის დასაქმებულმა, თანხა დაგროვების დაწყებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უნდა მიიღოს, რაც შეუძლებელი იქნება, თუ ამ პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო კომპანია არსებობას შეწყვეტს. შესაბამისად, მოსახლეობის ამ ნაწილისათვის,

სახელმწიფო გაცილებით უფრო მეტად წარმოადგენს გრძელვადიანი ფინანსური ურთიერთობების გარანტს, ვიდრე კერძო სექტორი.

ის ნაწილი კი, ვინც არც სახელმწიფო სისტემას ენდობა, დიდი ალბათობით, იმ ნეგატიური გამოცდილებით ხელმძღვანელობს, როდესაც ინფლაციის შედეგად მოსახლეობის კერძო ანაბრები ფაქტობრივად დაიკარგა და პოსტსაბჭოურმა სახელმწიფომ ვერ შეძლო ამ პროცესის კომპენსაცია.

წარსულის გამოცდილებასთან ერთად, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დაბალი შემოსავლები, რაც გაუგებარს ხდის, როგორ შეიძლება დააგროვოს ადამიანმა სიბერის უზრუნველსაყოფად აუცილებელი თანხა.

სწორედ ტრადიციული ღირებულებებით შეიძლება აიხსნას ის შედეგი, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხი კორელაციაშია სქესთან: კაცებს შორის უფრო დიდია იმ ჯგუფის მოცულობა, ვინც სიბერის უზრუნველყოფის ყველაზე უსაფრთხო საშუალებად საკუთარ დანაზოგს მიიჩნევს, ხოლო ქალებს შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით ოჯახია წარმოდგენილი. ოჯახის წევრებს შორის სტატუსებისა და როლების განაწილების მიხედვით, მატერიალური უზრუნველყოფა კაცის მოვალეობაა, ამიტომ კაცს უფრო საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, ხოლო ქალს ოჯახის, სადაც შემომტანის ფუნქცია მას არ აკისრია. ამას ადასტურებს #9 გრაფიკსა და #1 ცხრილში მოყვანილი სტატისტიკა: საქსტატის 2014 წლის მონაცემებით, ქალების საშუალო ხელფასი კაცების საშუალო ხელფასის 63,5% ს შეადგენს. ქალების დასაქმების დონე გაცილებით დაბალია ვიდრე კაცების.

გრაფიკი #9



(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014)

ცხრილი #1

15+ ასაკის ქალების და მამაკაცების განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 2009 2014 (პროცენტებში)

	2009	2010	2011	2012	2013	2014
უმუშევრობის დონე ქალებში	15.4	14.5	13.1	13.8	12.3	10.4
უმუშევრობის დონე მამაკაცებში	18.1	17.9	16.7	16.1	16.5	14.0

აქტიურობის დონე ქალებში	54.3	55.5	55.8	57.4	56.8	57.1
აქტიურობის დონე მამაკაცებში	74.6	74.5	76.5	78.2	77.3	77.4
დასაქმების დონე ქალებში	45.9	47.5	48.5	49.5	49.8	51.1
დასაქმების დონე მამაკაცებში	61.1	61.2	63.7	65.6	64.5	66.6

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015).

სიბერის უზრუნველყოფის ყველაზე უსაფრთხო საშუალება კორელაციაშია ასაკთანაც. Aასაკობრივ ჭრილში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 65+ ასაკის რესპონდენტებში ყველაზე დიდი მოცულობით წარმოდგენილია `ოჯახი~ 38%. ეს შედეგი, გარდა იმისა, რომ ტრადიციული ორიენტაციების გავლენის სასარგებლოდ მეტყველებს, შემდეგი ასპექტითაც არის საინტერესო: აღნიშნული ჯგუფის მოცულობა ორჯერ აღემატება იმ ჯგუფის მოცულობას, ვინც `საკუთარი დანაზოგი~ უპასუხა (20,4%). ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდება სიბერეს მნიშვნელოვანი დანაზოგით, შესაბამისად, მისი სიბერის უზრუნველყოფა ოჯახზეა დამოკიდებული.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის – 68.6%, სიბერის უზრუნველსაყოფად ამჟამად არსებული პენსია არ არის საკმარისი; ამასთან ეს მაჩვენებელი 65 + ასაკობრივ ჯგუფში 75.0% ს აღწევს.

უკვე განხილულ შედეგებთან ლოგიკურ კავშირშია:

ა) სამომავლო ორიენტაციების ამჟამინდელი შეფასება. კითხვაზე: `რა ტიპის საპენსიო სისტემა იქნება ოპტიმალური საქართველოსთვის?~ პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გრაფიკი #10



ბ) დამოკიდებულება კერძო დაგროვებითი პენსიის დანერგვის ფორმის მიმართ: 74,5% თვლის, რომ კერძო დაგროვებითი პენსია ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

დასკვნა

მიღებული შედეგები იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ დაგროვებითი საპენსიო მოდელების შეფასება მნიშვნელოვანწილად არსებული ვითარებისა და წარსულის გამოცდილების განზოგადების შედეგად ხდება და არა მათი კრიტიკული შეფასების საფუძველზე (რასაც არაინფორმირებულობის მაღალი მაჩვენებელიც უწყობს ხელს), რაც მნიშვნელოვნად ზრდის შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის აქტუალობას.

ამრიგად, საქართველოში ამჟამად არსებული საპენსიო სისტემის მიმართ საზოგადოების უდიდესი ნაწილის მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება და თანამედროვე დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციის მოთხოვნები (დასავლეთის ქვეყნების საპენსიო სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს საპენსიო სისტემისგან ისინი დამოკიდებულია სტაჟზე და პენსიაზე გასვლამდე არსებულ ხელფასზე და გაცილებით უფრო მეტადაა განვითარებული დაგროვებითი საპენსიო სისტემა. ევროინტეგრაცია ასევე გულისხმობს სოციალური დაცვის სისტემების დაახლოებას) ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს რეფორმის აუცილებლობაზე. თუმცა, ეს ფაქტი დაგროვებითი საპენსიო სისტემის რომელიმე

მოდელის წარმატებით დანერგვის გარანტიად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, ფინანსური (განსაკუთრებით, კერძო) ინსტიტუტების მიმართ არსებული უნდობლობა, პოსტსაბჭოური პერიოდის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ნეგატიური გამოცდილება, არაინფორმირებულობა და სიბერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით არაფორმალურ მექანიზმებზე (საკუთარი დანაზოგი, ოჯახი) მკვეთრად გამოხატული ორიენტაცია, სავარაუდოდ, გაართულებს საზოგადოების მხრიდან მოდელის ადეკვატურად შეფასებისა და მისი დანერგვის პროცესს.

ვინაიდან, ამჟამად არსებული საპენსიო სისტემის მიმართ გამოვლენილ ნეგატიურ დამოკიდებულებას კონკრეტული გამოცდილება განაპირობებს, საკვლევი მოდელების მიმართ არსებულ უნდობლობას კი, უფრო, არაინფორმირებულობა და მათი ცალკეული (ძირითადად ფინანსებთან დაკავშირებული) აქტორების, როგორც ზოგადი რისკ ფაქტორების აღქმა, რეფორმის წარმატებისათვის ოპტიმალური მოდელისა და მისი დანერგვის რელევანტური მეთოდების შემუშავებასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება რეგულარულ კვლევაზე დაფუძნებული შესაბამისი საინფორმაციო კამპანია და რისკებისაგან დაზღვევის სისტემის შექმნა, რაც სუსტად განვითარებული სოციალური დაცვის მექანიზმების ფონზე შეიძლება შეფასდეს, როგორც საპენსიო ფონდის მიმართ ნდობის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფუნქციონირება მუდმივად იქნება დაკავშირებული დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლებთან, როგორც ფინანსების დაგროვების ძირითად წყაროსთან, მაგრამ ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეფორმის საწყისი ეტაპისათვის ვინაიდან, რაც უფრო მეტ ადამიანს მიეცემა დაგროვებით მოდელზე გადასვლის ფინანსური შესაძლებლობა, მით უფრო მაღალი იქნება ახალი მოდელის მიმართ პოზიტიური გამოცდილების ჩამოყალიბების ალბათობა, ეს კი, მოქმედი მოდელის მიმართ არსებული ნეგატიური დამოკიდებულების ფონზე ხელს შეუწყობს საზოგადოების დაინტერესებას რეფორმის მიმართ, შესაბამისად, გავლენას მოახდენს როგორც ინფორმირებულობის ხარისხის ზრდაზე, ისე დაგროვებითი სისტემის მასშტაბის გაფართოებაზე.

18 დან 50 წლამდე ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები შეიძლება განვიხილოთ არამხოლოდ როგორც რეფორმის საწყისი ეტაპის მაქსიმალურად ეფექტური მიზნობრივი სეგმენტი (რომლის რეფორმაში ჩართვის ალბათობაც დანარჩენებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია), არამედ, როგორც რეფორმის "სოციალური აგენტებიც", რომელთა ჩართვაც შესაძლებელია საზოგადოების ინფორმირებულობისა და რეფორმით დაინტერესების მექანიზმებშიც.

ის ფაქტი, რომ თბილისის მოსახლეობის მცირე ნაწილი (11%) აპირებს ჩართვას კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში და ამ სისტემის მიმართ ნდობის ხარისხი არაა მაღალი (23%) არ ნიშნავს იმას, რომ რეფორმის განხორციელების შანსი მცირეა, რადგან "ინოვაციების გავრცელების თეორიის" მიხედვით, სიახლე საზოგადოებაში თანდათანობით ინერგება და თავდაპირველად მას იღებს საზოგადოების მცირე ნაწილი (ინოვატორები – მოსახლეობის 2,5% და ადრეული ადეპტები – 13,5%), ხოლო უმრავლესობა (ადრეული 34% და გვიანი 34%, სულ – 68%) შედარებით უფრო დიდ ხანს ანდომებს ინოვაციის ათვისებას, სწორედ ამ უმრავლესობის ქცევაზეა დამოკიდებული საპენსიო რეფორმის წარმატება. ამიტომ, სასურველია, სახელმწიფომ წარმართოს სათანადო საინფორმაციო სარეკლამო კამპანია და განსაკუთრებული აქცენტი ადრეულ და გვიან უმრავლესობაზე გააკეთოს. ამ კამპანიის წარმართვისას სახელმწიფომ მიზანშეწონილია გაითვალისწინოს, რომ "უმრავლესობის" კატეგორიაში, ინოვაციის (ამ შემთხვევაში საპენსიო რეფორმის) გასავრცელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ნაცნობ მეგობრებს, ავტორიტეტის მქონე იმ ადამიანებთან პირად კომუნიკაციებს, რომლებმაც უკვე აითვისეს სიახლე და პირადი კონტაქტის საფუძველზე შეუძლიათ გაუზიარონ გამოცდილება და წააქეზონ "უმრავლესობა", რომ მათაც მიიღონ სიახლე. პირადი კომუნიკაციის მნიშვნელობაზე მიუთითებს ევერეტ როჯერსი და ხაზს უსვამს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში ავტორიტეტული ადამიანების (opinion leaders) როლს ინოვაციის გავრცელებაში. როჯერსის ეს იდეა გამომდინარეობს `კომუნიკაციების ორსაფეხურიანი ნაკადის თეორიიდან~, რომელიც შეიმუშავეს სოციოლოგებმა პოლ ლაზარსფელდმა და ელიჰუ კაცმა (Katz

& Lazarsfeld, 1955). ამ თეორიის მიხედვით, იდეები მედიის საშუალებით მიედინება ავტორიტეტულ ადამიანებთან, ხოლო მათგან უკვე მოსახლეობის ნაკლებად აქტიური ნაწილისკენ. მედია ცოდნას გადასცემს, მაშინ, როცა პიროვნული ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად. ლეს რობინსონის აზრით: იმის გამო, რომ ახალი პროდუქტის მიღება რისკთან და გაურკვევლობასთანაა დაკავშირებული, ძირითადად მხოლოდ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ვიცნობთ და ვენდობით და რომლებმაც წარმატებით აითვისეს სიახლე შეიძლება დაგვარწმუნონ, რომ ინოვაციის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგებს. "ინოვაციების გავრცელების თეორიის" ექსპერტები თვლიან, რომ ინოვატორებისა და ადრეული ადეპტებისთვის, უფრო მნიშვნელოვანია მასმედიის საშუალებები, ვიდრე მოსახლეობის უმრავლესობისთვის, რადგან პირველებს აქვთ საკმარისი ფინანსური საშუალებები და მზად არიან გარისკონ. მათთვის მასმედიიდან გადაცემული მესიჯი საკმარისია სიახლის მისაღებად. უმრავლესობას კი, უფრო ძლიერი ბიძგი სჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად ისეთი, როგორიცაა ავტორიტეტულ პიროვნებებთან უშუალო კონტაქტი (Rogers, Difussion of Innovations, 2003) (Robinson, 2009).

ბიბლიოგრაფია:

1. Balbin, E. V., & Darchia, G. (2012). *Mandatory Savings Pension and Pension reform.* Tbilisi: USAID.
2. Boersch Supan, A., & Wilke, C. B. (2004). *The German Public Pension System: How it Was, How it Will Be.* Cambridge, MA: National Bureau of Economic Research.
3. Flick, U. (2014). *An Introduction to Qualitative Research.* Berlin : SAGE Publications.
4. Katz, E., & Lazarsfeld, P. F. (1955). *Personal Influence: The Part Played by People in the Flow of Mass Communications.* New York: Free Press.
5. Kritzer, B. (2008). *US Social Security Administration.* Retrieved 6 3, 2015, from http://www.ssa.gov/policy/docs/ssb/v68n2/v68n2p69.html
6. Macnicol, J. (2002). *The politics of retirement in Britain, 1878 1948.* Cambridge: Cambridge University Press.
7. Maydell, B. v. (2006). *Enabling Social Europe.* Berlin: Springer Verlag.
8. Organisation for Economic Co operation and Development (OECD). (2011). *Pensions at a Glance 2011: Retirement income Systems in OECD and G20 Countries.* Paris: OECD Publishing.
9. Robinson, L. (2009). *A summary of diffusion of innovations*. Retrieved 5 8, 2016, from Enabling change: http://enablingchange.com.au/Summary_Diffusion_Theory.pdf
10. Rogers, E. M. (1962). *Diffusion of innovations.* New York: Free Press of Glencoe.
11. Rogers, E. M. (2003). *Difussion of Innovations.* New York: Free Press.
12. Ruiz Tagle, J. V., & Castro, F. (1998). *The Chilean Pension System.* OECD.
13. Schwarz, A. M., & Arias, O. S. (2014). *The Inverting Pyramid: Pension Systems Facing Demographic Challenges in Europe and Central Asia.* Washington, DC: The World Bank.
14. United Nations. (2015). *World Population Prospects.* Retrieved 4 28, 2016, from http://esa.un.org/unpd/wpp/Download/Standard/Population/
15. Whitehouse, E. (2012). *Reversals of systemic pension reforms in Central and Eastern Europe: Implications.* Retrieved 4 29, 2016, from http://www.ebrd.com/downloads/research/news/Whitehouse_Paper.pdf
16. World Bank. (1993). *Georgia, a Blueprint for Reforms.* Washington D.C.: World Bank.

17. Верховный Совет Союза Советских Социалистических Республик. (1964, 7 15). Закон о пенсиях и пособиях членам колхозов.
18. Гайдар, Е. (2004, 7 13). *Независимая газета*. Retrieved 6 3, 2015, from http://www.ng.ru/ideas/2004 07 13/10_histori.html
19. Кречетников, А. (2010, 9 8). *Би би си* . Retrieved 6 3, 2015, from http://www.bbc.co.uk/russian/russia/2010/09/100831_pensions_history
20. Пенсионный фонд Российской Федерации. (2016, 01 15). *Пенсии в СССР: Социальные реформы 1917 1990 гг.* Retrieved 1 5, 2016, from ЭЛЭКТРОННЫЙ АРХИВ: ИСТОРИЯ РАЗВИТИЯ ПЕНСИОННОЙ СИСТЕМЫ В РОССИИ: http://pfr.pba.su/Content/Read/55
